პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

 კვირა, 28 მაისი, 1944 წ. № 107 (7051). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთშია:

საქართველოს მეშახტეები ახალ ამოცანათა წინაშე. მოწინავე (1-ლი გვერდი).
საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 27 მაისის ოპერატიული ცნობა. (1-ლი გვერდი).
ტავდის, კანსკის, კრასნოიარსკის და ლობვის საჰიდროლიზო ქარხნების მშენებლობათა უფროსებისა და ქარხნების დირექტორების მიმართვა ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი და ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხი (1-ლი გვერდი).
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი (1-ლი გვერდი).
ქართული მუსიკის საბოლოო საღამო მოსკოვში (1-ლი გვერდი).
სამამულო ომის სახელოვანი მეომარნი (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება: პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესებისათვის (მე-3 გვერდი).
მეშახტის საბრძოლო პოზიცია ლავა და სანგრეები (მე-3 გვერდი).
ვემზადოთ მოსავლის აღებისათვის (მე-3 გვერდი).
საქართველო — სომხეთი. ნატანებლები ანადგურებენ ნაკისრ ვალდებულებებს (მე-3 გვერდი).
მარშალ ტიტოს განცხადება ამერიკის ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტისადმი (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები, დეპეშები (1-ლი და მე-4 გვერდი).

საქართველოს მეშახტეები ახალ ამოცანათა წინაშე

პარტიამ და მთავრობამ საქართველოს ქვანახშირის სამრეწველო რაიონების მუშაკებს უდიდესი მნიშვნელობის ახალი ამოცანა დაუსახეს: უახლოეს დროში მიაღწიონ ქვანახშირის მოპოვების მკვეთრ ზრდას, მისცენ ქვეყანას ერთი-სამად და ერთი-ოთხად მეტი ქვანახშირი, ვიდრე ახლა აძლევენ. ამ დიდი ამოცანის შესასრულებლად საქართველოს ქვანახშირის სამრეწველო რაიონებში ფართო მასშტაბის ახალი სამუშაოები იწყება. იმისათვის, რომ წარმატებით შესრულდეს ეს სამუშაოები, საჭიროა ქვანახშირის რაიონების პარტიულმა, საბჭოთა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ასევე მიიღონ სათანადო ზომები, უზრუნველჰყონ სამუშაოთა დაწყებისთანავე ძაღალი ორგანიზებულობა და დისციპლინა.

ომიანობის ვითარებაში ქვანახშირი ეს არის ტანკები, თვითმფრინავები, ქვემეხები, ყუმბარები და სხვა საბრძოლო იარაღი. მეტი ლითონი, მეტი ფოლადი, მეტი ჯავშანი შეუძლებელია მივიღოთ ისე, თუ ქარხნები არ მოვამარაგეთ ქვანახშირით. ქვანახშირის მოთხოვნილება დღევანდელ პერიოდში იმდენად გადიდდა, რომ მისი მოპოვების ახლანდელი მაჩვენებლებით დაკმაყოფილება უკვე აღარ შეიძლება. მეტალურგია, ტრანსპორტი, ელექტროსადგურები, მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობა ქვანახშირზე ახალ, მზარდ მოთხოვნებს აყენებს. მეშახტეებმა პატრიოტული ვალია აიღონ ქვანახშირის ამოღების გადიდების ისეთი ტემპები, რომ დაკმაყოფილონ ეს მზარდი მოთხოვნილება, მიაღწიონ ახალ საწარმოო აღმავლობას.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სისტემატური წინსვლა, მზარდი საწარმოო აღმავლობა არის იქ, სადაც პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა მაღალ დონეზე არის დაყენებული, სადაც ფართოდ ინერგება მოწინავეთა გამოცდილება, სადაც ადგილობრივი ორგანიზაციები ნამდვილად არიან სოციალისტური შეჯიბრების სათავეში, სადაც მაღაბი აღვივებენ შეჯიბრებაში გამარჯვების ინტერესსა და ხალისს და მათს ინიციატივას წარმართავენ ახალ საწარმოო ამოცანათა დასაწყვეტად. ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არ არის საქართველოს ქვანახშირის ისეთ წამყვან სამრეწველო რაიონებში, როგორიც ტყიბული და ტყვარჩელია.

შარშან ივნისში ტყიბულისა და ტყვარჩელის მეშახტეები პირველობისათვის შეჯიბრებაში ჩაებნენ. ტყიბულელმა მეშახტეებმა მაშინ იკისრეს 1943 წლის გეგმის გადაჭარბებით ქვეყნისათვის 13.000 ტონა ქვანახშირის მიცემა. ამგვარივე ვალდებულება აიღეს ტყვარჩელელებმა. მაგრამ ვერც ტყიბულელებმა და ვერც ტყვარჩელელებმა დანაპირები ვერ შეასრულეს. რატომ მოხდა ასე? — იმიტომ, რომ როგორც ტყიბულის, ისე ტყვარჩელის პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ვერ შესძლეს ნამდვილად ჩასდგომოდნენ სათავეში დაწყებულ შეჯიბრებას, ვერ შინარჩუნეს და ვერ აღზარდეს შახტებში ახალმოსული მუშები, ვერ უზრუნველჰყვეს მოწინავე სტახანოველთა გამოცდილების განზოგადება, ვერ განავითარეს და ფართოდ ვერ დანერგეს თაიდანვე წარმატებით დაწყებული სემ. ვოლოსური მუშაობა მეთოდები.

ტყიბულისა და ტყვარჩელის შახტებში განსაკუთრებით მოისუსტებს პროფორგანიზაციათა მუშაობა. უკვე ორი თვე გავიდა, რაც გამოქვეყდა პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს XII პლენუმის დადგენილება, რომელმაც დაავალა „ცენტრალურ და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს ფართოდ გაშალონ საწარმოებში მუშების სოციალისტური შეჯიბრება პროფესიების მიხედვით, იმ პირობით, რომ შეჯიბრებაში ჩაბმული იქნება წარმოების ყოველი დარგის სხვადასხვა პროფესიის მუშები და პირველ რიგში წამყვანი პროფესიების მუშები“. XII პლენუმის ამ დადგენილების შესასრულებლად ჯერჯერობით თითქმის არაფერი გაკეთებული ტყიბულსა და ტყვარჩელში. ტყიბულში მხოლოდ ახლა იწყებენ პროფესიათა მიხედვით შეჯიბრების გაშლას, ხოლო ტყვარჩელში ჯერ წინასწარი მუშაობაც არ დაუწყიათ. პროფესიათა მიხედვით შეჯიბრების გაშლა გადაუდებელი ამოცანაა. ამას ხელი უნდა მოჰკიდონ ადგილობრივმა პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. საბჭოთა კავშირის მრავალი ქარხნის, მრავალი მაღაროს გამოცდილება მოწმობს, რომ პროფესიების მიხედვით შეჯიბრება საწარმოო ეგზამების შესრულების მძლავრი საშუალებაა.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ოვიებში შესამჩნევად გააუმჯობესეს მუშაობა როგორც ტყიბულის, ისე ტყვარჩელის მეშახტეებმა. ტყვარჩელელებმა გეგმის შესრულება უკვე თებერვლიდან დაიწყეს. თებერვალში მათ მოგვცეს თვიური დავალების 100,7 პროცენტი, მარტში — 102.1 პროცენტი, ხოლო აპრილში — 100 პროცენტი. ტყიბულელებმა აპრილიდან იწყეს თვიური გეგმების გადაჭარბებით შესრულება და მაისის განმავლობაში ორ დეკადაში მათ არა თუ შეასრულეს ქვანახშირის მოპოვების გეგმა, არამედ პირველი კვარტალიდან გადმოყოლილი დავალიანების დასაფარავად გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათასი ტონა ქვანახშირი მოგვცეს.

მაგრამ ეს საკმარი არაა.

ახლა შახტებში დიდძალი ახალმოსული მუშაა. ისინი მონდომებულნი არიან დაეხმარონ სამშობლოს, გამოიჩინონ შრომითი მამაცობა. მაგრამ ჯერ კარგად არ იცნობენ შახტებს მიწისქვეშა მოშაობის სპეციფიკურობას. მათ ესაჭიროებათ ყურადღება, დახმარება, აღზრდა. საჭიროა მათში გავაღვივოთ მეშახტეთა პროფესიების დაუფლების ინტერესი, ვაწარმოოთ მათთან მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. ჩავინერგოთ მათ იმის შეგნება, რომ ქვანახშირი ჩვენს სამშობლოს ოღეს ესაჭიროება, რომ მტრისგან გამარჯვების მოპოვებაში მეშახტეების პატრიოტული წვლილი მიწისქვეშეთიდან გამოღებული ქვანახშირია.

საქართველოს მეშახტეები, რომელთაც წლების განმავლობაში ზრდიდა, აწრთობდა და ახალი შრომითი გმირობისათვის რაზმავდა დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლი, ქართველი ხალხის საამაყო შვილი ამხანაგი ლავრენტი ბერია, ეჭვს გარეშეა შესძლებენ პარტიისა და თანამგრძის მიერ მათს წინაშე დასახულ ახალ ამოცანათა ღირსეულად შესრულებას — ახლო დროში მიაღწევენ ქვანახშირის მოპოვების საგრძნობლად გადიდებას და ამით ხელს შეუწყობენ ძლევამოსილ წითელ არმიას ვერაგი მტრის საბოლოო განადგურების დაჩქარებაში.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ბ. ი. კიკნაძის საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს ამხ. გიორგი ივანეს-ძე კიკნაძე საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის მოვალეობისაგან მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. სტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი
1944 წ. 27 მაისი. ქ. თბილისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ვ. დ. კუპრაძის საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ

დანიშნოს ამხ. ვიქტორ დიმიტრის-ძე კუპრაძე საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. სტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი
1944 წ. 27 მაისი. ქ. თბილისი.

რკინიგზელთა დაჯილდოება

სამხარ მასალათა დამზადების საქმეში მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია რკინიგზელთა დიდი ჯგუფი მათ შორის გზათა სახალხო კომისარიატის ქარხნის ხარატი შ. დ. ზაალიშვილი—წითელი ვარსკვლავის ორდენით სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატი ბ. ფ. ჟოლობოტოვი—მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ და ა. დ. ჭუმბურიძე—მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“.

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ ი. ბ. სტალინს

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

მოგახსენებთ, რომ დამთავრებულია სსრ კავშირის შინსახკომისათვის მინდობილი მშენებლობა ოთხი საჰიდროლიზო ქარხნისა ხე-ტყის ქარხნების ხის ნარჩენებისაგან ღვინის სპირტის გამოსახდელად.

საექსპლოატაციოდ გადაეცა:

ტავდის საჰიდროლიზო ქარხანა—1943 წლის 30 ივლისს.
კანსკის საჰიდროლიზო ქარხანა—1943 წლის 11 აგვისტოს.
კრასნოიარსკის საჰიდროლიზო ქარხანა—1943 წლის 18 აგვისტოს.
ლობვის საჰიდროლიზო ქარხანა—1944 წლის 31 მარტს.

მიუხედავად ომიანობის დროის სიძნელეებისა, აშენებული ქარხნები საინიმუშოა და მათ თავისი სახით განახორციელეს ტექნიკის უკანასკნელი მიღწევები ამ დარგში. სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული „გლავლესოსპირტის“ საექსპლოატაციო დარგის მუშაკები წარმატებით ეუფლებიან ქარხნებს და ა. წ. 1 მაისისათვის 980 ათასი ლიტრი სპირტი გამოუშვეს.

საჰიდროლიზო ქარხნების მშენებლები და საექსპლოატაციო დარგის მუშაკები ერთი წუთითაც არ ივიწყებენ, რომ სამამულო ომის პირობებში სპირტი უმნიშვნელოვანესი მასალაა ჩვენი მშობლიური წითელი არმიისათვის საჭირო დენთებისა და კაჟრუკის საწარმოებლად და რომ საჰიდროლიზო ქარხნები, რომლებიც სპირტს ნახერხისაგან აშზადებენ, ჩვენი სამშობლოს სასურსათო საჭიროებისათვის მილიონობით ფუთ პურს ზოგავენ.

პირობას გაძლევთ, მშობლიურო იოსებ ბესარიონის-ძევ, მთელი ჩვენი ძალები მოვახმაროთ იმას, რომ შეავსრულოთ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ახალი დავალება საჰიდროლიზო ქარხნების მეორე რიგების მშენებლობის დარგში და წელს მათი სიმძლავრე წელიწადში 8 მილიონიდან 20 მილიონ ლიტრ სპირტამდე გავადიდოთ.

ტავდის საჰიდროლიზო ქარხნის მშენებლობის უფროსი პეტროვი.
ქარხნის დირექტორი ბერეზნერი.
კანსკის საჰიდროლიზო ქარხნის მშენებლობის უფროსი ტიმოფეევი.
ქარხნის დირექტორი გაინოვი.
კრასნოიარსკის საჰიდროლიზო ქარხნის მშენებლობის უფროსი ისაჩენკო.
ქარხნის დირექტორი სერვილინი.
ლობვის საჰიდროლიზო ქარხნის მშენებლობის უფროსი როსმანი.
ქარხნის დირექტორი ბაიბოროდინი.

ტავდა. ამხანაგებს პეტროვს, ბერეზნერს
კანსკი. ამხანაგებს ტიმოფეევს, გაინოვს
კრასნოიარსკი. ამხანაგებს ისაჩენკოს, სერვილინს
ლობვა. ამხანაგებს როსმანს, ბაიბოროდინს

ვოლოცავ სსრ კავშირის შინსახკომის საჰიდროლიზო ქარხნების მშენებლებსა და „გლავლესოსპირტის“ საექსპლოატაციო დარგის მუშაკებს, ტავდის, კანსკის, კრასნოიარსკისა და ლობვის სპირტის ქარხნების მშენებლობის წარმატებით დამთავრებას და ათვისებას, ქარხნებისა, რომლებიც საშუალებას იძლევიან გავადიდოთ საომარი მასალების წარმოება ჩვენი ძლევამოსილი წითელი არმიისათვის და დავუზოგოთ სახელმწიფოს მილიონობით ფუთი პური.

რწმენას გამოვთქვამ, რომ სპირტის ქარხნების მეორე რიგების მშენებლობა თქვენ მიერ შესრულებულ იქნება დაწესებულ ვადაში.

ი. სტალინი

ქართული მუსიკის საბოლოო საღამო მოსკოვში

გუშინ ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში შესდგა ქართული მუსიკის საბოლოო საღამო დამშვრალთა ყურადღების ცენტრში იყო კომპოზიტორების—კილაძის, შმაგლიძის. ტუსკიას კანტატა, რომელიც მიძღვნილია ამხანაგ სტალინისადმი. იგი შეასრულეს სსრ კავშირის სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა, რესპუბლიკურმა რუსულმა საკერდო კაპელამ და ლენინგრადის სახელმწიფო აკადემიურმა საგუნდო კაპელამ, თბილისის ოპერის სოლისტებმა—საქართველოს სახალხო არტისტებმა ე. სოხაძემ, ნ. ცომაიამ, დ. ანდღულაძემ, პ. ამირანაშვილმა და დ. ბ. დრიძემ. დირიჟორობდა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე შ. აზმაიფარაშვილი. კანტატის შესრულებამ მთელი დარბაზის აღტაცებული ტაში გამოიწვია. საბოლოო კონცერტში შესრულებულ იქნა აგრეთვე ქართველი კომპოზიტორების ცალკეული სიმფონიები, და არიები ბ. ბალანჩივაძის, დ. არაყიშვილის, ზ. ფალიაშვილის ოპერებიდან.

უკლეველი ძმობის დემონსტრაცია

საუბარი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ს. ჩიქოვანთან

მოსკოვში ათი დღის განმავლობაში ტარდებოდა ქართული ლიტერატურის საღამოები. საქართველოს პოეტებისა და მწერლებს ყოფნა დედაქალაქში. მათი შეხვედრები რუსული ლიტერატურის ოღოვაწეებთან, კულტურის მუშაკებთან, წითელი არმიის მებრძოლებსა და ოფიცრებთან მკაფიო დემონსტრაცია გახდა ძმაწე ლიტერატურების ერთიანობისა. რომლებიც განერთიანებულნი არიან თავიანთი შემოქმედებითი მიმწოფიფებით დაეხმარონ საშობლოს მალე მოიპოვოს საბოლოო გამარჯვება ჰიტლერელ დამპყრობლებზე.

საკავშირო კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ პოეტმა სიმონ ჩიქოვანმა განაცხადა:

— სამამულო ომის წლების განმავლობაში ჩვენ პირველად შეეხვედით ჩვენს რუს მეგობრებს ჩვენ მოვეფიდთ იმისათვის, რომ აქვანრში წარეუდგინოთ დედაქალაქის საზოგადოებრიობას, ეუამბოთ მას, თუ როგორ მონაწილეობენ ჩვენი ლიტერატორები გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ომში.

სიყვარულისა და მეგობრობის მტკიცე ურთიერთობა ოკვე მრავალი წლის განმავლობაში აკავშირებს რუს და ქართველ მწერლებს. ამ გრძნობების გამოხატულება ჩვენ გვინახავს ბემოქმედებითსა და საქმიან შეხვედრებში ომამდე მოსკოვსა და თბილისში.

დედაქალაქის საზოგადოებრიობის მიერ ჩვენთვის ამჟამად მოწყობილმა მიღებამ თავისი გულითადობითა და გულთბილობით დიდად გაგვახარა ჩვენ დავარწმუნდით, რომ რუსი მეგობრები იცნობენ და აფასებენ ჩვენს ნაწარმოებთ, რომ ქართველი პოეტების მიერ მკაცრი განსაცდელის ჟამს დაწერილი ლექსები მხურვალე გამოხმაურებას პოულობენ ხალხის გულში. უდიდესი სამუშაო შეასრულეს რუსმა პოეტებმა. რომლებიც მკითხველებს აცნობდნენ ჩვენს ნაწარმოებთ. ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს რუსული პოეზიის გამოჩენილმა ოსტატებმა გულმხურვალე. ვადლობას ვუძღვნით მათ სიყვარულით გაწეული შრომისათვის, იმისათვის, რომ ჩვენი გულის ნადები გააცნეს დიდ რუს ხალხს.

მოსკოვში ჩვენ ლექსებს ვკითხულობდით მწერალთა კლუბში. კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში. ჩაბიობის სახლში. მუშათა და ოფიცრთა კლუბებში გამართულ საღამოებზე. ქართული ლიტერატურის საღამოები მუდამ მრავალრიცხოვან აუდიტორიას იზიდავდნენ ჩვენ აიხარულით ვხედავდით, თუ რა უდიდეს ინტერესს იჩენდა ქართული პოეზიისადმი დედაქალაქის საზოგადოებრივობა.

ჩვენი საღამოების წარმატებას მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს პოეტების ნ. ტიხონოვის, ბ. პასტერნაკის, ვ. დერუგინის, ნ. ადალისის, ვ. ზვიაგინცევის და სხვათა გამოსვლა, რომელებმაც ჩვენი ლექსები აუდიტორიას ვაცნეს საღამოებში აქტიური მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საბჭოთა ხელოვნების გამოჩენილმა ოსტატებმა. მათ შორის სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვ. ი. კაჩალოვამ, რომელიც დიდი გრძნობიერებით კითხულობდა ქართველი პოეტების ლექსებს.

საქართველოს შვილები ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთა წარმომადგენლების მხარდამჭერ იბრძვიან. ისინი იბრძოდნენ სტალინგრადისათვის. გაიარეს გზა ვოლგიდან ელბამდე, თავისუფლებდნენ ოდესას, ოერიში მიჰქონდათ სევასტოპოლზე. დღეს ისინი იბრძვიან კარპატის მთების კალთებზე, რუმინეთის ტერიტორიაზე.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენ, პოეტები, ჯერ კიდევ დიდ ვალში ვართ ჩვენი მეგობრების, ქართველი მეომრებისა წინაშე.

ჩვენი ლიტერატურის არსებითს ნაკლოვანებებზე მიუთითებდნენ სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების ბოლოდროინდელ საკავშირო საბჭოს ბიუროს ოთხ სხდომაზე, რომელიც 23 მაისს შესდგა. ამ სხდომაზე ამხანაგებმა ტიხონოვმა, სკოლიარევმა, პოლიკარპოვმა, ანტონოვსკაიამ და სხვებმა აღნიშნეს ქართული ლიტერატურის მიერ სამამულო ომის დღეებში მოპოვებული შემოქმედებითი წარმატებანი და ამასთან ერთად სამართლიანად ოსაყვედურეს ჩვენს ჩროზაიკოსებს, რომ ისინი სათანადო ყურადღებას არ უთმობენ ზეგრეს, გმირების შრომითს სიგბერეს. საქმეებს მწერლებმა უნდა გაითვალისწინონ ეს მოთხოვნა და უახლოეს ხანში არსულუსოვანი ბეტონული ნაწარმოებნი შეჰქმნან იმით შესახებ, ვინც დაუცხრომლად სჭედავს ფრონტისათვის გამარჯვებას ბარაღს.

შემდეგ ს. ჩიქოვანმა ილაპარაკა იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც დასახულია სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის ნაციონალურ ლიტერატურათა სექციისა და გამომცემლობათა მიერ საბჭოთა მკითხველებისათვის ქართველ მწერალთა ნაწარმოებების შემდგომი გაცნობისათვის 1944 წლის განმავლობაში სახელგამი და გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“ გამოიშვებენ გ. ტაბიძის, ა. მაშაშვილის, ს. ჩიქოვანის ლექსთა კრებულებს შ. დადიანის, კ. ლორთქიფანიძისა და ხვების მოთხრობებსა და რომანებს.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის მიწვევით ახლო ხანში მოსკოვიდან თბილისს ეაიმგზავრება რუსი პოეტების ჯგუფი საქართველოს პოეტების, ნაწერმოებთა თარგმანზე ერთობლივი მუშაობისათვის. (საკდესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

27 მაისის ოპერატიული ცნობა

27 მაისის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მოხდარა.

26 მაისის განმავლობაში საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 30 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენი ტორპედოსანი თვითმფრინავები ურტყამენ მოწინააღმდეგის ტრანსპორტებს

26 მაისს ღამით წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ტორპედოსანი თვითმფრინავები ურტყამდნენ მოწინააღმდეგის ტრანსპორტებს. ტორპედოსანთა მოქმედებამ შედეგად რიგის ყურეში ჩაძირულია გერმანელთა ორი დიდი ტრანსპორტი. გარდა ამისა, მოწინააღმდეგის 7 ათასი ტონა წყალწყვის 2 ტრანსპორტი ჩაძირულია ფინეთის ყურეში.

* * *

26 მაისს მოწინააღმდეგის 70 თვითმფრინავი ცდილობდა თავს დასხმოდა ჩვენი ფლოტის ერთ-ერთ ობიექტს ფინეთის ყურეში. გერმანელთა თვითმფრინავებს წინ გადაელობნენ საბჭოთა ავიაგამანადგურებლები, გაფანტეს ისინი და აიძულეს ზღვაში ჩაეყარათ ბომბები.

* * *

ქალაქ ტირასპოლის სამხრეთით საბჭოთა მეზვერავების რაზმმა ღამით შეაღწია მოწინააღმდეგის განლაგებაში. ჩვენი მზვერავები უეცრად შეეჭრნენ გერმანელთა სანგრებში და გრანატებითა და ხელჩართულ შეტაკებაში გაუტეხეს 40-ზე მეტი ჰიტლერელი. მზვერავებმა ხელთ იგდეს ექვსი ტყვიამფრქეველი და ორი ტყვე და დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში. ცხენ უბნებზე არტილერისტები და ნაღმმტყორცელები უშენდნენ მოწინააღმდეგის სამიზნეებს, რომლებიც მათ შეამჩნიეს. დანგრეულია გერმანელთა 8 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი, მოსპობილია მოწინააღმდეგის რამდენიმე საცეცხლეიმფრქეველო წერტი და ორი ბ. ბალანჩივაძის, ზ. ფალიაშვილის ოპერებიდან.

* * *

ქალაქ ვიტებსკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ერმანელთა ქვეითი ჯარის ბატალიონმა არტილერიისა და ნაღმტყორცნთა ცეცხლის დახმარებით იერიში მოიტანა ჩვენს ქვეგანაყოფზე, რომელიც ერთ მაღლობს იცავდა. მოწინააღმდეგემ ეწინშვნელოვანი ზარალის ფასად მოახერხა დაეკავებინა ჩვენი მაღლობი, ოხემი. საბჭოთა ჰაერაბრძოლელებმა სწრაფი დარტყმით ეკუთვნოდეს ჰიტლერელები და მდგომარეობა აოთანანეს. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 170-მდე გვამი. ხელთ ვიგდეთ დაცლა და ტყვეები.

* * *

ჩვენი ტორპედოსანი თვითმფრინავები ურტყამენ მოწინააღმდეგის ტრანსპორტებს.

26 მაისს საჰაერო ბრძოლებში ჩვენმა მეფრინავეებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 20 თვითმფრინავი, მათ შორის 11 ბომბდამშენი და 9 ავიაგამანადგურებელი. ჩვენი ორი თვითმფრინავი თავიანთ აეროდრომებზე არ დაბრუნებულა.

* * *

ვოლინის ოლქში მოქმედმა რამდენიმე პარტიზანულმა რაზმმა მაისის პირველი ნახევრის განმავლობაში ლიანდაგიდან გადაგდო გერმანელთა 8 სამხედრო ეშელონი. დამსხვრეულია 5 ორთქლმავალი და 80 ვაგონი და პლატფორმა. გარდა ამისა, ტაბაკსაწინააღმდეგო ოიფების ცეცხლით პარტიზანებმა მუნობრიდან გამოიყვანეს კიდევ ორი ორთქლმავალი. საბჭოთა პატრიოტებმა გზატკეცილებსა და ყამირგზებზე ნაღმებით აიფეთქეს მოწინააღმდეგის 3 მეტეორი და 17 ავტომანქანა. პარტიზანთა ჯგუფმა ღამით მოსპო გერმანელთა მცველი რაზმი, აიფეთქა ხიდი რკინიგზაზე. რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანელთათვის. გზის მთელ უბანზე მატარებელთა მიმოსვლა შეწყვეტილი იყო 12 დღე-ღამეს.

* * *

წითელი არმიის მხარეზე გადმოსულმა გერმანელთა 371-ე ქვეითი დივიზიის, 669-ე პოლკის ჯარისკაცმა კარლ ნ-მა გაანაცხადა: „ეჭ არმიაში გამიწვიეს გასულ წლის დეკემბერში მწყობრის სამსახურისათვის ოვარგისად მკრეს და სატრანსპორტო რაზმში გამგზავნეს. აპრილში მთელი ჩვენი რაზმი მოულოდნელად შეეურთეს სამამრო ბატალიონს და ალმოსავლეთის ფრონტზე გაგზავნეს. 371-ე დივიზიის მეთაურმა გენერალმა ნიგოფმა სიტყვით მიმართა მოსულ ჯარისკაცებს მან განაცხადა: „თქვენ მოხვედით იმ დივიზიაში, რომელიც ამას წინათ მონაწილეობას იღებდა ჰიმე ბრძოლებში. სამწუხაროდ ბევრი ჯარისკაცი ოღირსად იქცეოდა. თვითბერტარად სტოვებდა პოზიციებს და ჰყრიდა იარაღს. გაფრთხილებთ, რომ მე ბრძანება გავეცი—დახვრიტონ ყველა. ვინც თავს დაიძვრენს ბრძოლისაგან“. მკვირცხოვან ძალ ჯარისკაცთაგან, რომელნიც ბატალიონში დარჩენილიყვნენ, ჩვენ შევიტყეთ დივიზიის განადგურების დაწვრილებითი ამბავი. ისინი ამბობდნენ, რომ უკანდახევას პანიკური გაქცევის ხასიათი ჰქონდა. ოფიცრები კრძალავდნენ დაჭრილთა წაყვანას და მათთვის დახმარების აღმოჩენას. ისინი ჯარისკაცებს ეუბნებოდნენ: „ჩვენ ამჟამად არა გვცალია დაჭრილებისა თუ ჩამორჩენილებისთვის ულდა ვიჩქარით. თორემ ყველანი დავიღუპებთო“ ამ ნაამბობმა მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ახალი შეესების ჯარისკაცებზე. მე არა ჭსურდა უაზროდ დაეღუპოლიყავი ბრძოლაში. ანდა. რაც უფრო ადრე სი ეჩქეროდა. გერმანელ ნიგოფის ტყვეთ და ამიტომ გადმოვედი რუსების მხარეზე“.

თ. პ. გოლოვატიმ შეიძინა ახალი თვითმფრინავი წითელი არმიის საჩუქრად

სარატოვი, 26 მაისი (საკდესი). დღეს თ. პ. გოლოვატი სარატოვს დაბრუნდა ქალაქ კ-დან, სადაც მან ერთ-ერთ საავიაციო ქარხანაში ახალი თვითმფრინავი შეიძინა წითელი არმიის საჩუქრად.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში თერაპონტე პეტრეს-ძემ თქვა:

— ამხანაგმა სტალინმა დაავალა ფოლა ჩემი თხოვნა—ნება დამრთო შემეძინა უახლესი კონსტრუქციის ავიაგამანადგურებელი და პირადად გადამეცა იგი მაიორ ერიომინისათვის. მე ახლახან ვიყავი ერთ-ერთ საავიაციო ქარხანაში, სადაც შესანიშნავი თვითმფრინავი ამოვარჩიე. მოუთმენლად ველი შესაძლებლობას—გადავსცე ჩემი საჩუქარი თანამემამულე სარატოველს, გვარდიის მაიორ ერიომინს და მივცე მას მამობრივი დავალება—შური იძიოს ჩემი ვაჟის სტეფანესათვის, ჩემი ბიძაშვილის ივანესათვის, რომელიც გერმანელებმა აწამეს პოლტავაშინაში, შური იძიოს მთელი იმ მწუხარებისა და წამებისათვის, რაც მოგვაყენეს ჰიტლერელმა დამპყრობლებმა.

უკანასკნელი ცნობები

ბრძოლები იუგოსლავიაში

ზენევა, 27 მაისი (საკდესი). როგორც იუგოსლავიიდან გადმოგვცემენ, იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი შტაბი იუწყება, რომ სლოვენიაში სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილები შეტევაზე გადავიდნენ და დაიკავეს მოწინააღმდეგის გამაგრებული პუნქტი ჭირნა (ტრბლის ჩრდილოეთით). მტრის ჯარები განდევნილი არიან პოზიციებიდან და უკუგდებული არიან ნოვო მესტოს მიმართულებით.

ფიდოვი ჰიტლერის ბანაკში მაინვიეს

სტოკჰოლმი, 27 მაისი (საკდესი). გაზეთ „სტოკჰოლმ ტიდნინგენის“ ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება. რომ, მიღებული ცნობებით, ბულგარეთის ერთ-ერთი რეგენტი ფილოვი 26 მაისს მოსალაპარაკებლად გაემგზავრა ჰიტლერის ბანაკში, იგი გაწვეულია ჰიტლერის მიერ.

სტამბოლი, 27 მაისი (საკდესი) კერძო სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირი ბულგარეთსა და თურქეთს შორის, რაც შესწყდა 19 მაისს—ბოიკოვის მთავრობის გადადგომის დღეს,—დღემდე არ არის აღდგენილი.

ბულგარეთიდან ჩამოსულ პირთაგან აქ მიღებული ცნობების თანახმად სოფიაში ჩაიდინეს გერმანიის ახალი ნაწილები გერმანელთა გარნიზონის შესავსებად.

ინგლისელ-ამერიკელთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 27 მაისი (საკდესი). ავიაციის სამინისტრო იუწყება რომ 26 მაისს ღამით „მოსკიტოს“ მარკის ბომბდამშენები თავს დაესხნენ ლონდონ-ჰაფენს და რკინიგზის სადგურს ინგლისის აღმოსავლეთ ნაწილში. ბრძოლები გრძელდება ფრონტის ყველა უბანზე.

ხორვატიაში. მდინარე ბრეგინიცაზე. სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგის ჯარები და დიდი ზარალი მიაყენეს მას ჰტრის ბევრი ჯარისკაცი მდინარეში დაიხრჩო.

დასავლეთ ბოსნიაში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებია.

ზაგრებ-ბელგრადის რკინიგზის ხაზზე პარტიზანულმა რაზმმა ლიანდაგიდან გადაგდო მოწინააღმდეგის 3 ეტატარებელი.

ბულგარეთი. ბულგარეთის „ბორბალი“ ბოლოს ბოლოს ... ...

დიდი სამამულო ომის სახელოვანი მეომრები

საბჭოთა კავშირის გმირი რ. მ. ბარციცი

საბრძოლო ნათლობა მან მოზდოკთან მიიღო.

ეს იყო 1942 წლის ზაფხულის მიწურულში, როდესაც წითელი არმიის

მიერ კავკასიის კარიბჭესთან შეჩერებულ დაჭრილ აფთარს უკანასკნელი ქანცგაწყვეტილი იერიშები მოჰქონდა ჩვენს თავდაცვაზე. აქ შეჩერებულ იქნა ფაშისტი მხეცი.

ამ ბრძოლებში მოუხდა რაჟდენ ბარციცს პირველად მონაწილეობის მიღება. ახალგაზრდა აფხაზმა მეომარმა მალე გაითქვა სახელი. მტერთან ბრძოლაში იგი დაიჭრა, ხოლო განკურნების შემდეგ სამხედრო-საზღვაო ფლოტში ჩაირიცხა.

შავი ზღვის სანაპირზე გაბრდილი რაჟდენი ფლოტზე ბავშვობიდან ოცნებობდა. გაგრაში სწავლის დროს იგი შევიდა მყვინთავთა კურსებზე და წარჩინებით დაამთავრა იგი, ხოლო 1940 წელს 17 წლისამ დაამთავრა მყვინთავთა სკოლა ბათუმში. მალე სამამულო ომი დაიწყო და რ. ბარციცი წავიდა წითელი არმიის რიგებში.

მოზდოკთან ბრძოლების შემდეგ იგი კვლავ დაუბრუნდა საყვარელ ზღვას და მსახურობდა ერთ-ერთ გემზე.

ქერჩის ნახევარკუნძულზე საბჭოთა ჯარების პირველი დესანტის დროს რაჟდენი პირველი შეიჭრა მტრის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე. შემდეგ იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სადესანტო ნაწილების მომარაგების საქმეში. იმ გემის ეკიპაჟმა, სადაც მსახურობდა ბარციცი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა „მცირე მიწაზე“ საბჭოთა ნაწილებისათვის დახმარების გაწევაში. მიუხედავად ცუდი ამინდისა, „მცირე მიწის“ მამაც გარნიზონს არასოდეს არ დაჰკლებია საომარი მასალა და კვების პროდუქტები. ეს იყო რ. ბარციცის და მისი შესანიშნავი მეზღვაური ამხანაგების თავდადებული ბრძოლისა და მუშაობის შედეგი.

რ. ბარციცმა აქტიური მონაწილეობა მიიღო სევასტოპოლისათვის წარმოებულ უკანასკნელ ბრძოლებში.

„თქვენმა შვილმა,—სწერდნენ ნაწილის მეთაურები რ. ბარციცის მშობლებს, — თავი ისახელა, როგორც აფხაზი ხალხის ერთგულმა შვილმა. იგი — მამაცი მეზღვაური — ჩვენი სამშობლოს ერთგული მებრძოლია. ბარციცი მთელი ბრძოლების განმავლობაში იმყოფებოდა მათ შორის, ვინც გმირულად იბრძოდა ყირიმის განთავისუფლებისათვის და ვინც სახელოვანი გამარჯვება მოიპოვა“.

მტრის წინააღმდეგ მამაცური ბრძოლისათვის გაგრის რაიონის მკვიდრი, აფხაზი რაჟდენ მიხეილის-ძე ბარციცი დაჯილდოებულია წითელი დროშის ორი ორდენით და სამამულო ომის 1-ლი ხარისხის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ა. წ. 16 მაისის ბრძანებულებით მამაც მეზღვაურს, II სტატიის ზემდეგს რ. მ. ბარციცს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება ლენინის ორდენისა და მედალ „ოქროს ვარსკვლავის“ გადაცემით.

ბ. მერკვილაძე

საბჭოთა კავშირის გმირი კ. ბ. კოჩიევი

ხახელოვანი მეზღვაური კონსტანტინე გიორგის-ძე კოჩიევი საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დაწყებიდან დიდი გაბედაობითა და მოხერხებით იბრძვის გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. მან შავ ზღვაზე მტრის რამდენიმე ტრანსპორტი და წყალქვეშა ნავი ჩასძირა და ჩამოაგდო აგრეთვე გერმანელთა თვითმფრინავი.

წითელი დროშის ორი ორდენი და მედლები ოდესისა და სევასტოპოლის დაცვისათვის, რომლებიც მკერდს უშვენებენ ამხ. კოჩიევს, თავისთავად მეტყველებენ მის თავდადებასა და სამმაგ-ეჯზე საბჭოთა სამშობლოსათვის ბრძოლაში. განსაკუთრებული გმირობა ამხ. კოჩიევმა გამოიჩინა ყირიმის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. გემი, რომელსაც ის მეთაურობდა, რისხვად ატყდებოდა მტერს.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 16 მაისის ბრძანებულებით კაპიტან-ლეიტენანტ კ. ბ. კოჩიევს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

ამხ. კოჩიევი დაიბადა სამხრეთ-ოსეთში, ბავშვობა გაატარა ქალაქ სტალინირსა და ჯავაში. მისი მშობლები ვასწავლებლები არიან. თვით კონსტანტინე გიორგის-ძე კოჩიევმა შვიდწლედი დაამთავრა ქალაქ სტალინირში, შემდეგ სწავლობდა თბილისის საქართველო-საფაბრიკო სასწავლებელში, ხოლო 1937 წელს დაამთავრა ფრუნზეს სახელობის წითელდროშოვანი უმაღლესი სამხედრო-საზღვაო სასწავლებელი და მიიღო ლეიტენანტის წოდება.

ამის შემდეგ ამხ. კოჩიევი შავზღვეელთა რიგებშია და ღირსეულად ამართლებს წითელფლოტელის სამპატიო სახელს.

სურათზე: ოდესის დაცვისა და განთავისუფლების მონაწილეები უფროსი წითელფლოტელი პ. მ. კოვტონიუკი (იმამდე მუშაობდა ქალ. ბერდიჩევის კავშირგაბმულობის სამმართველოში), ქართველი წითელფლოტელი მ. ხ. ფორჩხიძე (ქალ. ტყიბულის მეშახტე) და გვარდიის წითელარმიელი ი. ე. ზიმოვსკოი, რომელიც დაჯილდოებულია დიდების III ხარისხის ორდენით.

სახალხო მშრომელი

ბრძოლა ყირიმში დამთავრებულია. შეესწაა ქვემეხების გრიალი, დაწყნარდა ირემარე, წელში გაიმართნენ განაწამები ყირიმის მცხოვრებნი. გაზაფხულის ალერსიანი მზე ეფინება ყირიმის მთებს, ბაღებს, ხეობებს. ყირიმში ახალი ცხოვრება იწყება.

ყირიმის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში თავისი დვაწლი მიუძღვით პეტრე გვალიას პარტიზანებს. მათი საბრძოლო საქმეების შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით.

* * *

პარტიზანთა ახელოვანი მეთაურის მამას ტაგუ გვალიას გეგეკორის რაიონის სოფელ ნახარებოვოში ყველა იცნობს როგორც საუკეთესო კოლმეურნეს, პატივსაცემ, შეგნებულ ადამიანს. ორი შვილი გამოზარდა ტაგუმ — პეტრე და ქორა. პეტრე ძალიან ნიჭიერი ყმაწვილი იყო, ჭკვიანი და თავაზიანი. ოცი წლის არც კი იყო, გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიული ფაკულტეტი რომ დაამთავრა. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ახალციხის რაიონში დანიშნეს სკოლის დირექტორად და ახალგაზრდა პედაგოგი შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას.

მაგრამ პეტრე სულ სხვაზე ოცნებობდა. მას სამხედრო სამსახური იტაცებდა. ორასამი თვეც არ უმსახურია მასწავლებლად და წითელი არმიის რიგებში შევიდა. პეტრე დაინიშნა საარტილერიო ქვეგანაყოფში.

ექვსი თვის შემდეგ ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთში თეთრფინელთა წინააღმდეგ მძაფრ ბრძოლებში პეტრემ პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო. ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილი, ნიჭიერი პოლიტიკური ხელმძღვანელი წინ მიუძღოდა მებრძოლებს საბჭოთა ქვეყნის საზღვრების უშიშროებისათვის ბრძოლებში. ის ქვეგანაყოფი, რომელშიც პეტრე გვალია იბრძოდა, ერთ-ერთი პირველთაგანნი შეიჭრა ქალაქ ვიბორგში.

სამამულო ომი რომ დაიწყო, პეტრე გვალია უკვე ბრძოლგადახარული, დავაჟკაცებული მეომარი იყო. მას წილად ხვდა მონაწილეობა მიეღო ყირიმისათვის პირველ სასტიკ, სისხლისმღვრელ ბრძოლებში.

წითელი არმიის დროებითი უკანდახევის დროს, 1942 წელს, პეტრე გვალია და მისი ამხანაგები გარემოცვაში მოჰყვნენ და მტრის ზურგიდან თავი ვერ დაალწიეს. მაგრამ საბჭოთა პატრიოტს ერთი წუთითაც არ დავიწყებია თავისი მოვალეობა, მან შემოიკრიბა გარემოცვაში დარჩენილი ქართველი ვაჟკაცები შეადგინა პარტიზანული რაზმი და მედგრად უსხმოდა თავს საბჭოელ მტერს მის ზურგში, ერთი წუთით არ აძლევდა მოსვენებას. გვალიას პარტიზანული რაზმი ნამდვილ რისხვად გადაიქცა მტრისათვის.

* * *

ტაგუ გვალიას ორივე ვაჟიშვილი ყირიმისათვის იბრძოდა. ქორა გვალიას შესახებ საფრონტო გაზეთები სწერდნენ, როგორც საუკეთესო მებრძოლზე. განსაკუთრებით გამოიჩინა მან თავი ქერჩისათვის პირველი გაფთრებული ბრძოლების დროს.

შემდეგ თითქმის ორი წლის განმავლობაში ვეღარაფერი გაგიგო ტაგუმ შვილების შესახებ. წერილი აღარ მოსდიოდა. მოხუცი მამა ჯავრს გულში ინახავდა და ფიქრობდა, ალბათ პარტიზანებად არიან და იქიდან აბა როგორ მოიწერებიანო.

1944 წლის გაზაფხულზე მოვიდა პეტრეს წერილი. ვინ იცის, რამდენჯერ გადაკითხა ტაგუმ ქაღალდის ნახევრე ლურჯი ფანქრით ნაჩქარევად დაწერილი რამდენიმე სიტყვა: „...ჯერჯერობით კარგად ვარ, ვპარტიზანობ, მიღწევები ბევრი გვაქვს... ამას წერ იმ დროს, როცა ჩემი ოთხასკაციანი რაზმი ბრძოლაშია ჩაბმული. იმედია მალე განახავთ. მშვიდობით. თქვენი პეტრე. კრიმსკაია გორა. 28. II“.

მალე ტაგუმ ყველაფერი დაწვრილებით გაიგო. გაიგო, თუ როგორ გმირულად იბრძოდა მისი შვილი პარტიზანი პეტრე გვალია ყირიმის მიწაზე, როგორ უხდიდა სამაგიეროს ფაშისტ მტარვალებს, როგორ გმირულად დაეცა ერთ-ერთ ბრძოლაში მან ისიც გაიგო, რომ პარტიზანებმა თავიანთ რაზმს პეტრე გვალიას სახელი დაარქვეს და შური იძიეს მეთაურის სიკვდილისათვის.

ჩვენი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს მამაცი სახალხო შურისმგებლის პეტრე ტაგუსძე გვალიას სახელს.

ნინო ილოშვილი

საბჭოთა კავშირის გმირი ი. დ. ცხოვრებოვი

დიდი სამამულო ომის სახელოვანი მეომარი უმცროსი ლეიტენანტი ივანე დავითის-ძე ცხოვრებოვი დაიბადა 1904 წელს სოფელ სხლებში (ჯავის რაიონი). ივანე ცხოვრებოვი ერთი წლისა იყო, მამა რომ გარდაეცვალა. 1910 წელს მისი ოჯახი გადავიდა ლაგოდეხის რაიონის სოფელ ნამესრალში. ეკონომიური პირობების გამო ამხ. ცხოვრებოვი მხოლოდ 2 წელიწადს სწავლობდა სოფელ ლელიანის (ლაგოდეხის რაიონი) სკოლაში. 1918 წლამდე იგი სოფლის მეურნეობაში მუშაობდა. 1921 წელს შევიდა ლენინური კომკავშირის რიგებში.

1941 წლამდე ამხ. ცხოვრებოვი მუშაობდა ამიერ-კავკასიის რკინიგზის ნავთლუღის კვანძში შოფრის თანაშემწედ. შემდეგ სოფელ ლელიანის სამომხმარებლო კოოპერაციაში.

ივანე ცხოვრებოვი ჯარში 1942 წელს გაიწვიეს და გაგზავნეს ნაღმმტყორცნელთა სამეთაურო კურსებზე, რაც წარმატებით დაამთავრა. ცოლსა და ძმებს ივანესაგან სამამულო ომის ფრონტებიდან ხშირად მოსდით პატრიოტული წერილები.

ერთ-ერთ უკანასკნელად გამოგზავნილ წერილში ივანე ცხოვრებოვი შემდეგს იწერება: — სალამი და გამარჯვება ჩემს საყვარელ ცოლ-შვილს! არ იდარდოთ, რომ ფრონტზე ვიმყოფები, ვარ ძალიან კარგად და დაუნდობლად ვჟლეტ ჰიტლერელ ფაშისტებს. ტყვიას წვიმასავით ვაყრიო და მრავალი ჰიტლერელი გამოვასალმე. წუთისოფელს. ახლა დასასვენებლად ვიმყოფები. დასვენების შემდეგ უფრო ენერგიულად შევუდგები საზიზღარი მტრის მუსვრას.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შე-

სრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით უმცროს ლეიტენანტ ივანე დავითის-ძე ცხოვრებოვს მიენიჭა **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება **ლენინის ორდენისა** და მედალ „ოქროს ვარსკვლავის“ გადაცემით.

მ. საკარული

შურისგება

ამ სათაურით გაზეთ „პრავდაში“ დაიბეჭდა სპეციალური კორესპონდენტის ლეონიდ სობოლევის წერილი შავი ზღვის ფლოტიდან. იგი დაწერილია იმ დღეებში, როდესაც მიმდინარეობდა უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლები სევასტოპოლისათვის.

გვარდიის უფროსი ლეიტენანტი ნიკოლოზ პისარი და გვარდიის ლეიტენანტი ალექსანდრე გურგენიძე დილაადრიან გავიდნენ თავიანთი თვითმფრინავებით „სანადიროდ“. დიდხანს ეძებეს მათ მტრის გემთა ქარავანი, რომელმაც შესძლო მათთვის კვალის აბნევა, დიდხანს დაეინტერესებინ ეძებეს იგი ზღვაში. უკვე თითქმის საწვავიც უთავდებოდათ, ბოლოს აღმოაჩინეს სამი ტრანსპორტი სამი ათასი ტონა წყალწყვილისა თვითეული, რომლებსაც ბადრაგობდნენ ექვსი სწრაფმავალი კარჭაპი და სადარაჯო კატერები. ჩვენი მფრინავების დარტყმა ელვისებური იყო—მათ ჩასძირეს ტრანსპორტი, ერთი კარჭაპი, დააზიანეს სადარაჯო კატერი.

ერთხელ გვარდიელები გაჯავრებულნი დაბრუნდნენ თავიანთ ბაზაში—ქარავანი ვერ იპოვნეს. მათ ჯავრისაგან ხმა არ ამოუღიათ, სანამ ტექნიკოსები თვითმფრინავებს მოამზადებდნენ, და კვლავ სასწრაფოდ გაფრინდნენ ზღვისაკენ. ახლა ისინი თვითონ გადაიქცნენ მზვერავებად. ბოლოს ქარავანი აღმოაჩინეს. გვარდიელებმა გურგენიძემ და პისარმა იერიში მიიტანეს ქარავანზე, ორი ტრანსპორტი ჩასძირეს, ორი კი დააზიანეს.

ტამანის, ქერჩის, ნოვოროსიისკის საბრძოლო ანგარიშები უკვე დახურული იყო. მფრინავებმა გახსნეს ახალი ანგარიში, ყირიმის ანგარიში. საბჭოთა კავშირის გმირის ჩელნოკოვის ქვეგანაყოფში გვარდიის უფროსი ლეიტენანტის პისარის და გურგენიძის და გვარდიის კაპიტნების პოკალიუბნის და ნიკოლაევის ძირითადმა წამყვანმა ჯგუფებმა ყირიმში ჩვენი ჯარების შეტევის დაწყების შემდეგ ჩასძირეს მტრის 23 ხომალდი, აქედან 5 ტრანსპორტი და 11 სწრაფმავალი სადესანტო კარჭაპი, და სტროზულად დააზიანეს 22 ხომალდი. ყველა ეს ხომალდი, ძირითადად დატვირთული იყო ჰიტლერელთა ჯარებით, რომლებიც ყირიმიდან სხვა ფრონტებზე მიდიოდნენ.

შავი ზღვის მფრინავთა მუშაობა ყირიმში მიმდინარეობდა უძნელეს პირობებში—ადვილქებულ აეროდრომებზე, უდაბურ ადგილებში, როდესაც პირველ ხანებში მფრინავები ცხოვრობდნენ თვითმფრინავების „ფრთისქვეშ“, როდესაც არ იყო ბაზები. სახელოსნოები, და ტექნიკოსები თვითონ არევონტებდნენ ტყვიებით და ნამსხვრევებით დაცხრილულ თვითმფრინავებს. მაგრამ ბაზების მოწყობას ვერ მოუცდიდნენ. ისინი პირველი დღეებიდან არც ერთ წუთს არ აძლევდნენ მტერს მოსვენებას.

შავზღვეელი მფრინავები ბრძოლაში მიჰყავდა მტრისადმი უდიდეს სიძულვილს და ეშმაბლიური სევასტოპოლის სწრაფი დაბრუნების წყურვილს. და როდესაც ზღვის ზედაპირზე გამოჩნდებოდა მტრის ქარავანი, შავზღვეელი მფრინავები ზუსტად ორტყამდნენ ფაშისტთა გემებს, რომლებითაც გარბოდნენ ყირიმიდან ჰიტლერელები — გერმანელები, რუმინელები, მძარცველები, ჯალათები და მკვლელები.

ინაპერთა მეთაური ვ. ა. ვარდიაშვილი

ლეიტენანტი ვ. ა. ვარდიაშვილი სნაიპერთა ჯგუფის მეთაურია და თავისი სნაიპერთა ოცეულით რამდენჯერმე მონაწილეობდა გერმანელ ოკუპანტთაგან ჩვენი ქალაქებისა და სოფლების განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. იგი სარდლობის საბრძოლო დავალებებს ყოველთვის სანიმუშოდ ასრულებს.

ამხ. ვარდიაშვილმა მიიღო დავალება — მცირე ჯგუფით შეეჭრილიყო მტრის ზურგში და გაენადგურებინა სურსათითა და საპურველით დატვირთული გერმანელთა კოლონა. მან თავის მებრძოლებს გააცნო დავალება. მებრძოლებმა — ვ. შენგელიამ, ლ. მეძმარიაშვილმა და ს. სომხიაშვილმა სიტყვა მისცეს მეთაურს, რომ თავს გასწირავენ და მტერს კი არ გაუხარებენ.

გამოიყენა რა ადგილმდებარეობა ამხ. ვარდიაშვილი თავისი მებრძოლებით შეუმჩნევლად შეიჭრა მტრის ზურგში. მან თავისი მებრძოლები გაანაწილა გზის პირად, სადაც მოწინააღმდეგის ავტომანქანებს უნდა გაეკლოთ. გამოჩნდა მტრის სურსათითა და საპურველით დატვირთული ავტომანქანების კოლონა. მეთაურმა ვარდიაშვილმა სიგნალი მისცა მებრძოლებს. მათ გრანატები სტყორცნეს მტრის მანქანებს და ააფეთქეს ისინი. აფეთქებისაგან დაზიანდა 12 ავტომანქანა. გერმანელებმა სროლა ასტეხეს. მალე ვარდიაშვილს თავისი ნაწილი მიეშველა, ჩვენი მამაცი მებრძოლები მედგრად ეკვეთნენ მტერს. ამ ბრძოლის შედეგად ჩვენებმა ააფეთქეს და გაანადგურეს მტრის ავტომანქანები, დახოცეს 34 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, ტყვედ წამოიყვანეს 40 გერმანელი.

სარდლობის, საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობის გამოჩენისათვის ამხ. ვარდიაშვილი და მისი ოთხი მებრძოლი დაჯილდოებულ არიან საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

მაიორი გაბიტინია

მიტინგი გმირის სამშობლო სოფელში

მესტია („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). ზემო სვანეთის მშრომელებმა რადიოთი შეიტყეს სვანეთის მკვიდრის, მესამე რანგის კაპიტან იაროსლავ კონსტანტინეს-ძე იოსელიანისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების ამბავი. ღელვის სისწრაფით მოედო ეს სასიხარულო ცნობა მთელს სვანეთს.

გმირის სამშობლო სოფელ მულახში, სადაც დაიბადა იაროსლავ იოსელიანი, გაიმართა მიტინგი, რომელზედაც შეიკრიბნენ სოფელ მულახის მშრომელები, რაიონის წარმოება-დაწესებულებათა წარმომადგენლები, გმირის ახლო ნათესავები და მეგობრები, მასწავლებლები და სხვ.

მიტინგი მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა მშრომელთა დეპუტატების მულახის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ა. შერვაშიძემ.

საქართველოს კ. პ. (ბ) ზემო სვანეთის რაიკომის მეორე მდივანმა ამხ. ს. ჩხეტიანმა დამსწრეთ ვრცელად გააცნო ამხ. იაროსლავ იოსელიანის საბრძოლო ცხოვრება.

კავკასიის გმირული დაცვის მონაწილემ ამხ. ანტონ ზარგიანმა დამსწრეთ უამბო იაროსლავ იოსელიანთან ერთად გატარებული ბავშვობისა და გმირის ცხოვრების შესახებ.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე გმირის თანასოფლელები: კ. ნავერიანი და ალ. მარგიანი. მოსწავლე პ. ნავერიანმა წაიკითხა საბჭოთა კავშირის გმირ იაროსლავ იოსელიანისადმი მიძღვნილი ლექსი.

უდიდესი ყურადღებით მოისმინეს დამსწრეებმა გმირის ბიძის, სამოქალაქო ომის პარტიზანისა და ძველი ბოლშევიკის ამხ. აბესალომ იოსელიანის მოგონებანი იაროსლავ იოსელიანის ცხოვრების შესახებ. მან სთქვა,—უდიდეს სიხარულს განვიცდი ჩემი ძმისშვილის იაროსლავ იოსელიანისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების გამო. ეს მაღალი შეფასება ახალ ძალასა და ენერგიას მმატებს გმირული წითელი არმიის დასახმარებლად. სიტყვას ვიძლევი კიდევ უფრო მეტი თავდადებით ვიმუშაო ვერაგ მტერზე ჩვენი სრული გამარჯვებისათვის.

მიტინგზე გამოსულმა ამხანაგებმა იაროსლავ იოსელიანისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების საპასუხოდ იკისრეს კონკრეტული ვალდებულებები ფრონტისადმი დახმარების შემდგომი გაძლიერებისათვის.

გმირის თანასოფლელებმა წერილი გაუგზავნეს საბელოვან მეზღვაურს, საბჭოთა კავშირის გმირ იაროსლავ იოსელიანს.

რ. მარგიანი

საბჭოთა კავშირის გმირი

კომუნისტები ავანგარდში

1942 წლის შემოდგომაზე მრისხანე სიფრთხე ჩამოაწვა ამიერ-კავკასიას. გერმანელი ფაშისტი ავაზაკები კავკასიონის მისადგომებთან იყვნენ. ამ დროს ქართველი მეომრები გმირულად იცავდნენ თერგის მარცხენა ნაპირზე დაკავებულ თავდაცვის ზღუდეებს, საშუალებას არ აძლევდნენ გამბეჯნებულ ფაშისტებს გადმოელახათ თერგი და განვითარებინათ შემდგომი შტურმი. რამდენიმე დღის შეუპოვარი ბრძოლების შედეგად მტრის შეზღუდვა ჩაშალა. შემდეგ ჩვენი მებრძოლები თვითონ გადავიდნენ შტურმზე, გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა, 1942 წლის 12 დეკემბერს გაარღვიეს მისი თავდაცვის ხაზი და ფაშისტები უკუაგდეს დასავლეთისაკენ. სისხლისმღვრელი ბრძოლებით აღებულ იქნა სტანიცა იბერსკაია, შემდეგ კი გარღვეულ იქნა ქალაქ მოზდოკის მისასვლელის მარჯვენა ფლანგი ხუტორ თამაზოვის რაიონში. ჩვენი ქვეგანაყოფები ქ. მოზდოკში შეიჭრნენ და დაიკავეს იგი.

ჩვენს შეტევითს ბრძოლებს წინ უსწრებდა პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის გაძლიერება. ამ მუშაობას ხელმძღვანელობდა პოდპოლკოვნიკი ჯანჯღლაგა. ჩვენი პოლიტმუშაკები, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები ყოველდღიურად განამტკიცებდნენ პირადი შემადგენლობის პოლიტიკურ - მორალურ მდგომარეობას.

პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები ყოველდღიურად აგროვებდნენ საბრძოლო გამოცდილებას, სწავლობდნენ თვითონ და ასწავლიდნენ კომუნისტებს, კომკავშირელებს, მთელ პირად შემადგენლობას სარდლობის მიერ დასახული ამოცანების სანიმუშოდ შესრულებისათვის ბრძოლას.

პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ძირითადი ამოცანა მებრძოლთა და ზეთაურთა მთელი შემადგენლობის დარაზმვა უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ბრძანებების სანიმუშოდ შესრულებისათვის.

მოზდოკის, ყუბანის, ტამანის, ნახევარკუნძულისა და ყირიმისათვის გმირულ ბრძოლებში ჩვენი მებრძოლები გამოიწრთვნენ, გაკაჟდნენ. მათ გვიჩვენეს გმირობისა და თავგანწირვის მრავალი შესანიშნავი მაგალითი.

თვითეული კომუნისტი, თვითეული კომკავშირელი ბრძოლის ყველა მომენტში პირადი მაგალითით აღიფრთოვანებდა უპირატესი ამხანაგებს ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

კომუნისტი კაპიტანი სამსონ ყვირილიანი მეთაურთან ერთად სათავეში ედგა შეტევაზე გადასულ ათასეულს და სასახელოდ ასრულებდა საბრძოლო ამოცანას. ყუბალელებიდან მეთაურის გამოსვლისთანავე ამხ. ყვირილიანმა თვითონ იკისრა ათასეულის მეთაურობა და შეტევაზე წაიყვანა მებრძოლები. ამ ბრძოლაში იგი მძიმედ დაიჭრა, მაგრამ მაინც განაგრძობდა ათასეულის ხელმძღვანელობას. ამხ. ყვირილიანი ამ ბრძოლაში გმირის სიკვდილით დაეცა.

ქვეგანაყოფში, სადაც მოადგილედ პოლიტდარაში მუშაობს მაიორი ლორია, კომუნისტებმა მამაცობის შესანიშნავი მაგალითები გვიჩვენეს. ეს ქვეგანაყოფი რამდენჯერმე გადავიდა შეტევაზე, მოწინააღმდეგე განდევნა სანგრებიდან და მოშალა მისი თავდაცვის სისტემა. ამავე ქვეგანაყოფის მეორე ასეულის პარტორგმა ზემდეგმა გორდაძემ, მიუხედავად ჭრილობისა, ბრძოლის ველიდან გამოსვლაზე უარი განაცხადა. ფაფულად ვიყიდა ბერმინელთა ძელმიწურ საცეცხლე წერტილთან და აიფეთქა იგი. ამით ჩვენს შემტევ ქვეგანაყოფს საშუალება მიეცა საბრძოლო ამოცანა შეესრულებინა.

ჩერნოიარსკოეკაში და კილაპატკაში ბრძოლის დროს ჩვენმა მეომრებმა საბჭოთა სამშობლოსათვის თავდადების მრავალი შესანიშნავი მაგალითი გამოიჩინეს. ჩვენი ქვეგანაყოფები, რომლებიც სპეციალურ ამოცანას ასრულებდნენ მტრის ზურგში, მიუხედავად ბრძოლის მძიმე პირობებისა, მტრის კონტრიერიშებს წარმატებით იგერიებდნენ და დიდ ზარალს აყენებდნენ ფაშისტ ავაზაკებს. პარტბიუროს მდივანი გ. ჯაფარიძე და კომკავშირის ბიუროს მდივანი ლეიტენანტი პ. ფეტრაძე ხელმძღვანელობდნენ ცალკეულ ჯგუფებს ამ ბრძოლაში, პირადი მაგალითით აღიფრთოვანებდნენ მეომრებს, იერიშზე მიჰყავდათ პატრიოტული შეძახილებით: 'სამშობლოსათვის, სტალინისათვის. წინ!

ქალაქ ანაპის მისადგომებზე ბრძოლის დროს ათასეულის მეთაური დაიჭრა. მეთაურობა ათასეულის მეთაურის მოადგილემ პოლიტიკურ დარგში ამხ ანდულ მამედის-ძე წულუკიძემ იკისრა. მან მოწინააღმდეგის ძლიერი სატყვიამფრქვევო-სანადმტყორცნო ცეცხლის მიუხედავად, ქვეგანაყოფი იერიშზე წაიყვანა, სწრაფად გადალახა მდინარე, მოხერხებული მანევრით შეიჭრა ჭტრის განლაგებაში და ჩაება ხელჩართულ ბრძოლაში. წულუკიძის ხელმძღვანელობით მებრძოლებმა და ოფიცრებმა სძლიეს მტრის წინააღმდეგობა, გაათავისუფლეს სოფელი ანაპსკაია და შეიჭრნენ ქ. ანაპაში. ხელჩართულ ბრძოლაში ამხ. წულუკიძემ 7 ჰიტლერელი მოჰკლა და 3 ტყვედ წამოიყვანა.

კომკავშირელმა სერჟანტმა ოთარ გიორგის-ძე სულაბერიძემ (მაიორ ბუსკაძის ქვეგანაყოფი), რომელიც მეავტომატეთა ათეულს მეთაურობდა, ტამანის ნახევარკუნძულზე ბრძოლის დროს შესცვალა წყობილებიდან გამოსული ოცმეთაური და მეომრები იერიშზე წაიყვანა, ვან მოაწყო თავდასხმა მტრის საბრძოლო განლაგებაზე და მოსპო მოწინააღმდეგის ერთ ოცეულამდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

ასეულის მეთაურმა კომუნისტმა ვასილ პეტრეს-ძე ცაგარეიშვილმა მოწინააღმდეგის ძლიერი საარტილერიო და თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლის მიუხედავად გაბედულად წაიყვანა ასეული იერიშზე. ასეულმა ამოცანა წარმატებით შეასრულა.

სამეზის ორდენოსანმა კომუნისტმა შალვა ვიქტორის-ძე დავითულიანმა ბრძოლაში არაერთხელ გამოიჩინა თავი, უშიშარ მეთაურს თავისი ქვეგანაყოფი მტრის წინააღმდეგ გაბედულად და მოხერხებულად მიჰყავდა. იგი საუკეთესოდ ასრულებდა საბრძოლო ამოცანებს. ბრძოლის დროს დავითულიანი დაიჭრა, მაგრამ ქვეგანაყოფი არ დასტოვა, განაგრძო საბრძოლო ამოცანის შესრულება.

შეუპოვარ ბრძოლებში კომუნისტებმა კიდევ უფრო განამტკიცეს თავიანთი კავშირი უპარტიოებთან, მეთაურთა და წითელარმიელთა მთელ მასასთან.

ბრძოლის დროს ბევრ მეომარს შეჭქონდა განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ. პარტიის რიგების შევსება ხდებოდა მოწინავე მებრძოლებით.

აი რას სწერდნენ მოწინავე მებრძოლები პარტიული ორგანიზაციის სახელზე: „მივდივარ რა ბრძოლაში, მაქვს დიდი სურვილი ვიბრძოლო ფაშისტი მტარვალების წინააღმდეგ, როგორც კომუნისტმა. გთხოვთ მიმიღოთ საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში. ვფიცავ ღირსეულად და სპატიოდ ვატარო დიდი სახელწოდება კომუნისტისა“.

ტამანისათვის წარმოებული ბრძოლების პერიოდში მარტო ჩვენი ქვეგანაყოფის პარტორგანიზაციებმა თავის რიგებში მიიღეს 500-ზე მეტი მოწინავე მეომარი, რომლებმაც თავისი გმირობითა და მამაცობით დაამტკიცეს ერთგულება ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი, საბჭოთა სამშობლოსადმი. პარტიაში ახალ მიღებულთა 80 პროცენტი დაჯილდოებულია მთავრობის ჯილდოებით.

პოლიტმუშაკები და პარტიული ორგანიზაციები დაუღალავად მუშაობენ ახალგაზრდა კომუნისტებთან. ამის შედეგად აღიზარდა მრავალი ახალგაზრდა კომუნისტი, რომელებმაც ყირიმის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში გაამართლეს კომუნისტის სახელწოდება. ახალგაზრდა კომუნისტმა ნაღმმტყორცნელმა ბ. ფ. იობაშვილმა, ქერჩის, მისადგომებზე მოწინააღმდეგის კონტრიერიშის დროს თავისი ნაღმსატყორცნით მოსპო ათეული ჰიტლერელი და ჩააჩუმა ორი საცეცხლე წერტილი. იგი წარდგენილია მეორე ორდენით დასაჯილდოებლად. მზვერავთა ათეულის მეთაურმა ბერუაშვილმა ყირიმისათვის ერთ-ერთი ბრძოლის დროს 5 ჰიტლერელი მოჰკლა და ორი ტყვედ წამოიყვანა. წინათ მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოებული, ახლა იგი წარდგენილია ორდენზე. ქვემეხის მემეზნემ ახალგაზრდა კომუნისტმა ჩალაძემ ტამანისათვის ბრძოლის დროს ქვემეხი ღია პოზიციაზე გამოიყორა, ჩაება საარტილერიო დუელში, პირდაპირი დამიზნებით მოსპო მტრის სამი დაზგის ტყვიამფრქვევი ჭიმსახურე პერსონალიანად.

ყირიმის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ქართველმა მეომრებმა მოიძე ხალხთა მეომრებთან მხარდამხარ. ვაჟკაცობისა და სიმტკიცის ახალი მაგალითები გვიჩვენ

პარტიული ცხოვრება

პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესებისათვის

23 და 24 მაისს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებაში მიმდინარეობდა თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო, საქალაქო კომიტეტების და რაიკომების (სამრეწველო რაიონებიდან) საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებათა გამგეები. თათბირის მიზანი იყო სამამულო ომის დღეებში პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის დარგში დაგროვილი მოცდილების ურთიერთ გაზიარება.

თავიანთი მუშაობის გამოცდილების შესახებ თათბირზე სიტყვებით გამოვიდნენ ამხანაგები: შ. ჯაფარიძე (საქართველოს კ. პ. (ბ) ბილისის კომიტეტი), ვ. ივარდავა (საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტი), გ. ავალიანი (ქუთაისის საქალაქო კომიტეტი), გ. ებრალიძე (საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტი), ს. ხანდოვი (საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტი), გ. ჯაშაშვილი (ბორჩალო), დ. გობრონიძე (მახარაძე), ა. არაქელოვი (ბორჯომი), დ. ჭკუასელი (თბილისი, ლენინის რაიონი), ქ. ფიორგაძე (ტყიბული), ა. ალპანაძე (ჭიათურის საქალაქო კომიტეტი), ნ. ჩოფიკაშვილი (თბილისი, 26 კომისრის რაიონი). თათბირზე სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების მუშაკები ამხ. დ. კოტაია, ვ. რევაზიშვილი, ნ. მაკავარიანი, შ. სუხიშვილი, ი. რამიშვილი და ა. დემეტრაშვილი. თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ. ნ. სარქისოვმა.

თათბირზე აღინიშნა, რომ სამამულო ომის პირობებში პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებებმა მნიშვნელოვანი გააუმჯობესეს მუშაობა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ განყოფილებებში საჭიროებენ ახალი მუშაკები, რომელნიც ამ სამუშაოზე ომის პირობებში დაწინაურდნენ, ისინი წარმატებით ამზადებენ თავს დაკისრებულ საქმეს.

ამ ბოლო დროს საქალაქო და რაიონული კომიტეტების საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებებმა შესამჩნევად გააძლიერეს დახმარება პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი. რაიკომების ამ განყოფილებათა მუშაკები კონკრეტულ-ოპერატიულ დახმარებას უწევენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებს, პარტიული კრებებისა და მომზადებულად ჩატარებასა და პარტიულ მეურნეობის მოწესრიგებაში, სამეურნეო საკითხების გადაჭრასა და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებაში.

ბევრ პარტიის საქალაქო და მთელ რიგ რაიონულ კომიტეტებს ჰყავთ შტატგარეშე ინსტრუქტორები, რომელნიც მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებას პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი ყოველდღიური, ოპერატიული და ხელმძღვანელობის საკითხში. ბევრ სემინარებს იმ ამხანაგებისათვის, რომელნიც პირველად უხდებიან პარტორგანიზაციის მდივნის ან მდივნის მოადგილის მოვალეობის შესრულება. სემინარები დიდ დახმარებას უწევენ ახალგაზრდა პარტიულ მუშაკებს. ისინი საფუძვლიანად ეცნობიან პარტიული მუშაობის საკითხებს. ბევრ სემინარებზე ეწყობა ავრეთვე პარტორგანიზაციის მდივნების თათბირები, სადაც ხდება გამოცდილების ურთიერთ გაზიარება. ამ მხრივ კარგი გამოცდილება აქვს საქართველოს კ. პ. (ბ) ბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიონს. აქ სისტემატურად ეწყობა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირები სხვადასხვა დარგის საწარმოო დაწესებულებათა მუშაობის ხასიათის მიხედვით. ეფექტურობლად გააუმჯობესეს მუშაობა პალის საქალაქო და რაიონული კომიტეტების საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებებმა საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში მიღების დარგში. დროულად და წესიერად ეწყობა დოკუმენტების გაფორმება და გაცემა. ახალგაზრდა კომუნისტებს და საკავშირო კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატებს ეძლევათ პარტიული დავალება, რომელიც ეხმარება

მარშალ ტიტოს განცხადება ამერიკის ასოშიეიტედ პრესის საagენტოს კორესპონდენტისადმი

ნიუ-იორკი, 20 მაისი (საკდესი). დღეს ასოშიეიტედ პრესის საagენტო აქვეყნებს სტატიას, რომელშიც მოცემულია მარშალ ტიტოს განცხადება ასოშიეიტედ პრესის საagენტოს კორესპონდენტისადმი ეს განცხადება ყენზურის მიერ დაკავებული იყო 3 კვირით.

ასოშიეიტედ პრესის საagენტო აღნიშნავს, რომ, არსებული ცნობებით ცენზურას „ასე დიდხანს უშთავრესად იმიტომ ჰქონდა დაკავებული ეს ცნობა, რომ ტიტო მკვახედ იხსენიებდა მიხაილოვიჩს. რომლის ძალებიც ტიტოს მოქცეული ჰყავს საერთო ჯარში მოწინააღმდეგის ძალების გამოანგარიშების დროს. თავის განცხადებაში ტიტო უპასუხებს ასოშიეიტედ პრესის ბარელი კორესპონდენტის მთელ რიგ კითხვებზე.

განცხადების სრული ტექსტი ასეთია: „ბარი, 30 აპრილი (დაკავებული იყო ცენზურის მიერ). მარშალი პროზ-ტიტო პირველ ინტერვიუში, რომელიც მან პრესასათვის მისცა ამტკიცებს, რომ იუგოსლავიის ხალხებს და სახალხო-განმათავისუფლებელ არმიას მოკავშირეებისაგან სურთ არა მარტო მატერიალური დახმარება გერმანელების წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლად, არამედ აგრეთვე ისიც, რომ განთავისუფლების ნაციონალური კომიტეტი იცვლ როგორც იუგოსლავიის მთავრობა. მარშალმა სთქვა, რომ კომიტეტი ფორმალურად არ მოითხოვს ასეთ ცნობას შეერთებული შტატების, ინგლისისა და რუსეთისაგან მაგრამ ცნობა „გაძლიერებდა გაერთიანებულ ბრძოლას“ და, გარდა ამისა, მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიან ცნობას, „ღირსი დღე ჰკრიდება“. ტიტომ თავისი თვალსაზრისი იმ პასუხებში გამოსთქვა, რომლებიც მან გასცა ასოშიეიტედ პრესის საagენტოს კორესპონდენტის მიერ მიცემულ მთელ რიგ კითხვებზე.

მარშალმა სთქვა, რომ მისი ხალხი ერთგვარ დახმარებას იღებს მოკავშირეთაგან და განსაკუთრებით დიდად შეიფასა დახმარება, რომელსაც მის ჯარებს აწევენ ჰოკავშირეთა ავიაცია. მაგრამ,—სთქვა მარშალმა, — საჭიროა გაცილებით მეტი დახმარება. განსაკუთრებით ტანკებით. ტანკსაწინააღმდეგო ქვემეზებით. თვითმფრინავებითა და სორსოთით. ტიტომ განაცხადა, რომ ჯერმანელებმა „ადგილობრივ გამცემთა დახმარებით „გაელეტეს“ იუგოსლავიის მთელი სლოვი მოსახლეობის 1/7 ნაწილი. გაძარცვეს ვრცელი რაიონები. წაიყვანეს ცხენები. რქიანი საქონელი, ცხვრები. გადაწვეს ათასობით სახლი და სავსებით დაანგრიეს რამდენიმე ქალაქი. ტიტომ სთქვა. რომ ოკუპაციაში 3 წლის განმავლობაში დაიღუპა სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის 110 ათასი მებრძოლი. მაგრამ ეს მსხვერპლი ამაო არ არის. რადგან ამ არმიის ბრძოლამ ოსნა ათასობით მამაკაცის, ქალისა და ბავშვის სიცოცხლე, რომლებიც დაიღუპებოდნენ, ეს წინააღმდეგობა რომ არ ყოფილიყო.

უპასუხა რა კითხვაზე, თუ როგორია ტიტოს ძალები იუგოსლავიაში ტიტომ სთქვა: „იუგოსლავიაში ჯერ კიდევ არის ჯერმანელთა 14-მდე დივიზია. ბულგარელთა 4 დივიზია 120-დან 130 ათასამდე ხორვატი დომობრანელი. ლეგიონერი. უსტაში. 15 ათასამდე ნედიჩელი. 16 ათასი ჩეტნიკი მიხაილოვიჩის სარდლობით. სერბიის „თეთრი კორპუსის“ 3 პოლკი. 12 ათასამდე სლოვენი დომობრანელი მოალატე რუპნიკის სარდლობით და 10 ათასამდე ალბანელი გარდა ამისა, არის სხვადასხვა საპოლიციო ჯარები“

შემდეგ ტიტომ განაცხადა: „მოვლენათა მსვლელობა მოითხოვს, რომ ჩვენ უფრო ხშირად მივუთითოთ მოკავშირეებს იმ პრობლემებზე ომლებიც წაჰიოქოება ხოლმე ჩვენი სახალხო მთავრობის წინაშე და რომელთა გადაკრა აუცილებელია ჩვენი ხალხისა და შეიარაღებული ძალების სასარგებლოდ ამის ძიზეზი ერთის მხრივ, არის ემიგრანტული მთავრობის სულ უფრო და უფრო მცვე საქმიანობა და მეორე მხრივ — საკითხები მოსფლიო წეარიგის ომის შემდგომი რეკონსტრუქციისა. რისთვისაც მოკავშირეები უკვე ემზადებიან. მაგალითად, ჩვენ მიგვართეთ მოკავშირეებს იუგოსლავიის ნაციონალური ბანკის ოქროს საკითხთან დაკავშირებით. ოქროსი. რომელიც ემიგრანტულ მთავრობას სურს უკანონოდ მითვისოს, აგრეთვე ვთხოვეთ შეეწყვიტონ ჩვენი ინრრა-ს წევრად ჩვენ კითხოვეთ მოკავშირეებს, რომ მათ დაებრუნებინათ ჩვენთვის, სამხედრო გემები, რომლებსაც იტალიელებმა კონფიზკაცია უყვეს იუგოსლავიის ოკუპაციის პერიოდში ეს გემები ემიგრანტულ მთავრობას გადაეცა ხოლო ჩვენ შეგვეძლო კუძეულები დაესაცავად გამოგვეყენებინა ისინი. ჩვენ რომ ეს გემები გვქოლოდა არ დავკარგავდით კუძეულებს დალაკაციის სანაპიროსთან. სადაც გერმანელებმა მოახერხეს გადმოსდგომა. რადგან მათ რამდენიმე სამხედრო გემი ჰქონდათ“

ტიტომ განაცხადა, რომ კომიტეტმა სწორედ ასევე ითხოვა მოკავშირეებს გადაეცათ მისთვის კონტროლი ეგოსლავიის, სავაჭრო ფლოტისა. რომელიც ამჟამად იუგოსლავიის მთავრობის საკუთრებას წარმოადგენს; ამ მთავრობას ტიტომ ბრალად დასდო, რომ იგი „პირადი საკრიზისათვის ხარჯავს“ ამ გემებით სარგებლობისათვის აღებულ ფულს. ტიტომ ითხოვა კომიტეტისათვის გადაეცათ ეს ფული. რათა მას შესძლებოდა განეახლებინა საკუთარ ფლოტი და ჯამაგირი გაეგიდიებინა მეზღვაურთათვის. ტიტო ამტკიცებს რომ „სხვა მხრივ ნაციონალური კომიტეტი არ შეეხება გემების პატრონთა კერძო ინტერესებს. ასეთი პრობლემების რიცხვი სულ მატულობს. და ჯარეოვანი გვიძლევენ ვისწრაფოდეთ ნაციონალური კომიტეტის სრული იურიდიული კომპლასკენ მე ვფიქრობ, რომ ჩვენი საქმიანობა ჩვენს მეგობრებს მოკავშირეთა ოფიციალურ წრეებში ომის საკმაო დამამტკიცებელ საბუთებს აძლევს. რომ ჩვენ პირველ ხიგზი ვხელმძღვანელობთ ჰიტლერული ავრესიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო საქმის ინტერესებით და რომ ნაციონალური კომიტეტის ცხობა მხოლოდ ვაძლიერებდა ერთიან ბრძოლას“

კითხვაზე სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ოდენობის შესახებ ტიტომ უპასუხა, რომ მას შემდეგ რაც ბან ნიომბერში გაჩეხადება გააკეთა ომის შესახებ რომ სახალხო განმათავისუფლებელ არმიაში 250 ათასი კაცი ითვლება შექმნილია კიდევ რამდენიმე ნაწილი რომელთაგან თვითეული დაახლოებით დივიზიას შეადგენს.

კითხვაზე — რანაირად შესძლებდნენ მოკავშირეები ყველაზე უფრო ეფექტიანად დახმარებოდნენ იუგოსლავიასო, ტიტომ უპასუხა, რომ ნაციონალური კომიტეტი უწონარეს ყოვლისა ისწრაფვის მიიღოს საჭიროული, აიმარი მასალა, მედიკამენტები და სურსათი განმათავისუფლებელი არმიისათვის. ტიტომ განაცხადა: „ჩვენ ამ დახმარებას რეგულარულად ვიღებთ. თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენი არმიის რიცხვსა და საჭიროებას, ეს დახმარება ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის დამაკმაყოფილებელი. ამის ბუნებრივი მიზეზები უწონარეს ყოვლისა არის გადაზიდვის ტექნიკური სიძნელეები. განმათავისუფლებელ არმიას რომ მივაწოდოთ იარაღი, რაც შესაძლებლობას მისცემდა მას თანაბარ პირობებში ებრძოლნა გაცილებით უფრო ძლიერი მტრის წინააღმდეგ, ამისათვის უწონარეს ყოვლისა ჩვენ გვესაჭიროება ტანკები და საზენიტო ქვემეზები შემდეგ ჩვენ გვესაჭიროება საკუთარი ავიაცია, რომელიც შესძლებდა განსაკუთრებული ტაქტიკური ამოცანების შესრულებას. ჩვენს არმიაში საკმაოდ მოიპოვებიან ადამიანები ტანკებისა და თვითმფრინავთა მოქმაბურებისათვის. ამრიგად, პერსონალის პრობლემა არ არსებობს. მე ვსარგებლობ ამ შემთხვევით, რათა აღვნიშნო, რომ მოკავშირეთა ავიაციას მოქმედება იუგოსლავიაში მნიშვნელოვან დახმარებას გვიწევს ჩვენს ბრძოლაში მტრის წინააღმდეგ“

ტიტო შეეხო სამოქალაქო მოსახლეობისადმი დახმარების საკითხს და სთქვა, რომ ბევრ ძლიერ ოთხრებულ რაიონში შიმშილია გამეფებული. მან აღნიშნა, რომ „მიღებული იყო ზომები, რათა ზელს აგვცილი შეძლებისამერი უხვი მოსავალი, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ამას ხელს უშლის თესლის, ეუშა საქონლის. სასოფლო-სამეურნეო მანქანების ნაკლებობა და ამიტომ მომავალი მოსავალიც კი მთლიანად ვერ გადასწყვეტს ასეთისათო პრობლემას. იუგოსლავიელ ხალხს უფლება აქვს დაუყოვნებლივ დახმარებას მოელოდეს ინრრა-საგან. ინრრას პროგრამაში ნათქვამია. რომ დახმარება განხორციელებულ იქნება განთავისუფლებისთანავე. ჩვენს ბანკარგულებაშია 130 ათასი კვადრატული კილომეტრი განთავისუფლებული ტერიტორია, რომლის მოსახლეობასაც 5 მილიონზე მეტი კაცი შეადგენს. ამ ადამიანებმა საკუთარი ძალებით, უდიდესი მსხვერპლის გადეხვა, ყათათვისუფლეს თავი მტრისაგან. გასწმინდეს ტერიტორია და შეეჭქმნეს თავიანთი ნაციონალურ-დემოკრატიული მთავრობა. ამ ადამიანებს ახლა სრული დახმარება უსაჭიროებათ მაგრამ მათ თავისი წარმომადგენელიც კი არა ყავთ ინრრა-ში, რამდენადაც განთავისუფლების კომიტეტი იურიდიულად ცნობილი არ არის ასეთი მდგომარეობა მხოლოდ ზიანს აყენებს მოკავშირეთა საერთო საქმეს ტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. აი მხოლოდ ერთი მრავალ მიზეზთაგანი ნაციონალური კომიტეტის ცნობის აუცილებლობისა. არა მარტო მატერიალური დახმარება, არამედ ჰოკავშირეებია მიერ კომიტეტის ცნობაც იმ დახმარებას წარმოადგენს, რომელსაც იუგოსლავიის ხალხები და სახალხო-განმათავისუფლებელი არმია მიელიან“

კითხვაზე—მოსალოდნელია თუ არა, რომ იუგოსლავია ომის შემდეგ მოექცევა რომელიმე დიდი სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის გავლენის სფეროში, ტიტომ განაცხადა. რომ იუგოსლავიის ლონისძიებანი ამ ომის პერიოდში უფლებას მისცემენ იუგოსლავიას „თვითონ უზრუნველყოფ მინაკანი ორგანიზაცია და საგარეო ურთიერთობა. ეს უფლება გარანტირებულია ატლანტიკის ქარტიით, აგრეთვე მოსკოვისა და თეირანის კონფერენციებით წარსულსა გამოცდილება გვიჩვენებს. თუ რა ძვირად დაუჯდა იუგოსლავიელ ხალხს უცხო სახელმწიფოთა ჩარევა იუგოსლავიის საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკითხებში ამან გამოიწვია საერთაშორისო გართულება. კონფლიქტები და ბოლოს —ომი ბოდველობაში მიიღება რა ამ გაკვეთილს,—სთქვა ტიტომ,—განმათავისუფლებელი მოძრაობა ძალ-ლონით იბრძოლებს იუგოსლავიის ალაინთ თუ საგარეო პოლიტიკაში ეცხო სახელმწიფოთა ჩარევის წინააღმდეგ. ახლანდელ ბრძოლაში მიღწეული ჩვენი გამოცდილება და წარმატებანი უფლებას გვაძლევენ ვთქვათ. რომ იუგოსლავიის ხალხები ამაში წარმატებას მიაღწევენ ასეთი განცხადება გამართლებულია აგრეთვე იმ ფაქტით. რომ მოკავშირეებს დემოკრატიული ფედერატიული იუგოსლავიის შექმნა უკვე მიჩნიათ ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან ფაქტორად ომი მარტო გერმანიის ფაშიზმის საბოლოოდ მოსპობისათვის ბრძოლაში. არამედ იმისათვისაც, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა ომის შემდეგ მოეწყოს ხალხთა შორის ურთიერთპატივისცემისა და ომით ალბრებული ევროპის აღდგენაში მეგობრული თანამშრომლობის ჯანსაღ საფუძველზე მე ვფიქრობ, რომ დემოკრატიული ფედერატიული იუგოსლავია. თავის მოკავშირეებთან. როგორც ამჟამად. ისე ომის შემდეგაც მეგობრული ურთიერთობით დაკავშირებული. ღირსეულად შეასრულებს თავის როლს ომის შემდეგ“

ტიტომ სთქვა. რომ იუგოსლავიის საგარეო პოლიტიკა იმისაკენ იქნება მიმართული. რომ შინაარსნენებულ იქნას რაც შეიძლება საუკეთესო ურთიერთობა მის სამ დიდ მოკავშირესთან—ინგლისთან. შეერთებულ შტატებთან და რუსეთთან და რომ დახმარება ამ სამი სახელმწიფოს მხრივ იუგოსლავიისათვის ისევე საჭირო იქნება მშვიდობიანობის პერიოდში როგორც ახლანდელი ომის პერიოდში

ტიტომ მოიყვანა ციფრები, რომლებიც ანალიზებენ ჯერმანელთა მიერ წარმოებული ძარცვის მასშტაბებს ლიბიაში—იუგოსლავიის ერთ-ერთ უღარიბეს რაიონში. რომელიც ერთი პირველთაგანი განთავისუფლდა ამ რაიონიდან წაყვანილია ათასობით ცხენი, ბევრი რქანი საქონელი, ცხვარი და ღორი. გერმანელებმა წაიღეს საკვები. გადაწვეს დიდძალი სახლი იმ ქალაქთა რიცხვს რომლებმაც სრული ნგრევა განიცადეს ტიტომ მიაკუთვნა ქალაქები უდინა. როგატიცა გლამოჩი ბრეზორი კლიტრი. კლასენიცა რკინიგზები დანგრეულია სამრეწველო საწარმოები მოსპობილია. შახტები დაზიანულია. მთელი ამ ოთხრების სალიკვიდაციოდ საჭირო იქნება ომისშემდგომი რეკონსტრუქციის ფართო გეგმის განხორციელება „ამ რეკონსტრუქციისათვის ჩვენ დაგვჭირდება უცხოეთიდ კაპიტალის დაბმარება. რადგან ჩვენი საკუთარი სახსრები საკმარისი არ იქნება“

„პრავდა“, 22 მაისი.

დეტალები

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 27 მაისი (საკდესი). იტალიაში მოქმედი ოკავშირეთა ჯარების მთავარი შტაბი იუწყება, რომ ფრონტებზე გაატარებული ბრძოლები მიმდინარეობდა და ოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს მთელი ფრონტის გასწვრივ.

ლირის ხეობაში ინგლისის მერვე არმიის იაწლეები განაგრძობდნენ შეტევას მდინარე მელფის ხიდწინა სიმაგრიდან და სძლევდნენ მტრის შეფოთვარ წინააღმდეგობას. მარჯვენა ფლანგზე მტრისაგან ვაწმენდილია ტერელე, მონტეკიაირო და როკასეკა.

ამერიკის მეხუთე არმიის ჯარებმა დაიკავეს მნიშვნელოვანი ტერიტორია: მათ ხელშია სან ჯოვანი, პასტენა და მონტე როტონდა; ისინი მიუახლოვდნენ ამაზენოს, პრიენერნოს და სეცეს მიდამოებს (ტერაჩინის ჩრდილოეთით), დაკავებულია ჭალაკი კორი (ველეტრის სამხრეთ-აღმოსავლეთით). 26 მაისს მოკავშირეთა ორი სამხედრო ხომალდი. რომლებიც თავიანთი ქვემეხების ცეცხლით სახმელეთო ჯარებს ეხმარებოდნენ. უშენდა მტრის ობიექტებს, ანციოს რაიონში მდებარე პლაჟდარმის ჩრდილოეთით. დაშენს კარგი შედეგები მოჰყვა.

მძიმე ბომბდამშენთა დიდმა შენაერთებმა ავიაგამანადგურებელთა თანხლებით კვლავ დაბომბეს მტრის ობიექტები სამხრეთ საფრანგეთის კომუნიკაციებზე

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ნევრი ჰოლონეთის მთავრობას ბრაზლა სდებს უკანონო საქმიანობაში

ნიუ-იორკი, 23 მაისი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ორგანომ „კონგრესშენელ რიპორტმა“ აგრეთვე გაზეთმა „ამ“-მა გამოაქვეყნა განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრ დემოკრატ სელერისა (ნიუ-იორკის შტატისაგან), რომელიც მან გაუკეთა პრესის წარმომადგენლებს თავის განცხადებაში სელერმა ბრალად დასდო ჰოლონეთის მთავრობას უკანონო საქმიანობა შეერთებულ შტატებში და ამერიკის ფონდების ბოროტად ამოყენება. განცხადებაში ნათქვამია.

„ჩემ მიერ მიღებული სარწმონო ცნობებით, ჰოლონეთის ემიგრანტულმა მთავრობამ ბოროტად გამოიყენა მის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისაგან მიღებული ფონდები. ეს ფონდები ჰოლონეთის მთავრობას გადაეცა სპეციალურად ჰოლონეთში ნაციზტთა საოკუპაციო ჯარების წინააღმდეგ არალეგალური მოძრაობის დასახმარებლად. ახლა გამორკვეულია. რომ ამ ფონდების ნაწილი ჭაინც დარჩენილა ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებში ჰოლონეთის მთავრობამ რომელმაც ეს ფონდები გამოიყენა ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებში წარმოებული საქმიანობის დასაფინანსებლად, დაარღვია შეთანხმება იმის შესახებ. რომ ეს ფონდები მხოლოდ დამხოლოდ ჰოლონეთში ყოფილიყო გამოყენებული“

შემდეგ სელერმა მოიყვანა ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰოლონეთის მთავრობის უკანონო მოქმედების მთელი რიგი სხვა ფაქტები: 1) ვებრთელა სპრეპაგანდო „ეპარატის შენახვა ამერიკის შეერთებულ შტატებში; 2) ფულის მიცემა ამერიკელ მოქალაქეთათვის. რომელნიც რეგისტრირებული არ არიან კანონის თანახმად; 3) ამერიკული ფულის სხვა მიზნებისათვის გამოყენება. რითაც დარღვეულია ზემოაღნიშნული შეთანხმება.

საჰაერეფიფო დეპარტამენტის განცხადება იაპონელებზე ასკ კავშირის მიმართ ომის გამო ინგლისელ და ამერიკელ სამხედრო ყველაზე ბრძოლა

ვაშინგტონი, 26 მაისი (საკდესი) ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა მას შემდეგ რაც ცნობა გამოაქვეყნა რომ ოდონმა განაცხადა. საბჭოთა კავშირი თანახმაა მიმართოს იაპონიას ინგლისელ სამხედრო ტყვეთა შესახებ, პრესის წარმომადგენელთა შეკითხვების პასუხად აღნიშნა. რომ როგორც ამერიკის შეერთებული შტატების. ისე ინგლისის თხოვნით საბჭოთა კავშირი თანახმაა მიმართოს იაპონიას მოკავშირე სახელმწიფოთა სამხედრო ტყვეებისადმი მისი დამოკიდებულების საკითხზე.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრ ჰოლონეთის მთავრობას ბრალს სდებს უკანონო საქმიანობაში

ნიუ-იორკი, 23 მაისი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ორგანომ „კონგრესშენელ რიპორტმა“. აგრეთვე გაზეთმა „ამ“-მა გამოაქვეყნა განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრ დემოკრატ სელერისა (ნიუ-იორკის შტატისაგან), რომელიც მან გაუკეთა პრესის წარმომადგენლებს თავის განცხადებაში სელერმა ბრალად დასდო ჰოლონეთის მთავრობას უკანონო საქმიანობა შეერთებულ შტატებში და ამერიკის ფონდების ბოროტად ამოყენება. განცხადებაში ნათქვამია.

„ჩემ მიერ მიღებული სარწმონო ცნობებით, ჰოლონეთის ემიგრანტულმა მთავრობამ ბოროტად გამოიყენა მის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისაგან მიღებული ფონდები. ეს ფონდები ჰოლონეთის მთავრობას გადაეცა სპეციალურად ჰოლონეთში ნაციზტთა საოკუპაციო ჯარების წინააღმდეგ არალეგალური მოძრაობის დასახმარებლად. ახლა გამორკვეულია. რომ ამ ფონდების ნაწილი ჭაინც დარჩენილა ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებში ჰოლონეთის მთავრობამ რომელმაც ეს ფონდები გამოიყენა ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებში წარმოებული საქმიანობის დასაფინანსებლად, დაარღვია შეთანხმება იმის შესახებ. რომ ეს ფონდები მხოლოდ ჰოლონეთში ყოფილიყო გამოყენებული“

შემდეგ სელერმა მოიყვანა ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰოლონეთის მთავრობის უკანონო მოქმედების მთელი რიგი სხვა ფაქტები: 1) ვებრთელა სპრეპაგანდო „ეპარატის შენახვა ამერიკის შეერთებულ შტატებში; 2) ფულის მიცემა ამერიკელ მოქალაქეთათვის. რომელნიც რეგისტრირებული არ არიან კანონის თანახმად; 3) ამერიკული ფულის სხვა მიზნებისათვის გამოყენება. რითაც დარღვეულია ზემოაღნიშნული შეთანხმება.

საბჭოთა ელჩის ბრალდებანი ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანტონი იდენმა

ლონდონი, 25 მაისი (საკდესი) რეიტერის საagენტო გადმოგვცემს. დღეს თემთა პალატაში სიტყვა წარმოსთქვა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანტონი იდენმა

სსრ კავშირის საჯარო ჩემპიონატი

21 მაისს მოსკოვში დაიწყო სსრ კავშირის XIII საჯარიანი ჩემპიონატი. რომელშიც მონაწილეობენ: გროსმაისტრები მ. ბოტვინიკი (მოსკოვი). ა. კოტოვი (მოსკოვი). ა. ილიენტალი (მოსკოვი), ვ. სმისლოვი (მოსკოვი) და ს. ფლორი (მოსკოვი); დამსახურებული ოსტატი ვ. მაიდონოვი (ბაკო); ოსტატები — ვ. ალატორცევი (მოსკოვი), ი. ბოლესლავსკი (უკრაინა), დ. ბრონშტეინი (სტალინგრადი). გვარდიის კაპიტანი გ. ვერესოვი (წითელი არმია). გ. ლისიცინი (ლენინგრადი). ვ. მბკენსი (ლატვია), გ. რავინსკი (ლენინგრადი). ვ. რაგოზინი (ლენინგრადი). ა. სოკოლსკი (ომსკი). ლეიტენანტი ა. ტოლუში (წითელი არმია) და ა ხავინი (ალმა-ატა) ტურნირის მთავარი მსაჯია ოსტატი ნ. ზუბარევი.

21 და 22 მაისს შესდგა I და II ტურნი, ხოლო 23 მაისს, — პირველი ორი ტურის დაუმთავრებელი პარტიების გათამაშება.

ორი ტურის შემდეგ წინ იყვნენ: გროსმაისტერი სმისლოვი და მაესტრო ალატორცევი, რომელთაც ორ-ორი ქულა აქვთ ორი შესაძლებელიდან შემდეგ მიდიან ბოტვინიკი. კოტოვი და ლისიცკინი. რომელთაც ერთნახევარი ქულა აქვთ თითოეულს; მათ მიჰყვებიან ვერესოვი. ბრონშტეინი რაგოზინი. ხავინი და ფლორი. რომელთაც თითო ქულა აქვთ.

მესამე ტურში გროსმაისტერების კოტოვისა და სმისლოვის პარტია გადიდო კოტოვისათვის ოქმიდო ჰედგომარეობაში. გადიდო აგრეთვე რავინსკი-ბოტვინიკის. ბრონშტეინ-ლისიცინისა და ალატორცევ-ხავინის პარტიები, რაგოზინს გადადებულ პარტიაში ფლორთან მოგების დიდი შანსები აქვს. ტოლუშ-ვერესოვის პარტიაში პირველმა ეფექტიანად დაიშამათა მოწინააღმდეგის მეფე. ლილიენტალ-სოკოლსკის და მაკაგონოვ-ბოლესლავსკის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

მესამე ტურის შემდეგ წინ იყო გროსმაისტერი სმისლოვი. რომელსაც აქვს 2 ქულა ორიდან და ერთი მოსაგებ მდგომარეობაში გადადებული პარტია

მეოთხე ტურში ანსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო სმისლოვისა და რაგოზინის პარტიამ. მწვავე და ინტერესო თამაშის შედეგად გამარჯვება წილად ხვდა სმისლოვს. რომელიც კვლავ ჩემპიონატის ლიდერია. ბოტვინიკისა და სტალინგრადელი ბრონშტეინის პარტია გადაიდო რთულ მდგომარეობაში ფლორ-ტოლუშის პარტია გადადებულია პირველისათვის მოსაგებ მდგომარეობაში გადადებულია აგრეთვე ბოლესლავსკი-კოტოვის. ხავინ-ლისიცინის. ვერესოვ-ალატორცევისა და რავინსკი-სოკოლსკის პარტიები. ყაიმით დამთავრდა მაკაგონოვ-ლილიენტალის პარტია.

მეოთხე ტურის შემდეგ ყველაზე უკეთესი ძდგომარეობა აქვს მოსკოვის ჩემპიონს, გროსმაისტერ სმისლოვს, რომელიც 22 წლისაა. მან მოიგო ოთხიდან სამ პარტია და ერთი გადადებული აქვს მოსაგებ მდგომარეობაში. გროსმაისტერ ბოტვინიკს უფრო ცუდი მდგომარეობა აქვს. მან მოიგო ერთი. ერთი ყაიმით დამთავრა და ორი პარტია რთულ მდგომარეობაშია გადადებული. კოტოვს აქვს ორიდან ერთნახევარი ქულა და ორი გადადებული პარტია წასაგებ მდგომარეობაში ბოლესლავსკის მოეგო კოტოვს. ალატორცევს აქვს ორი მოგება და ლისიცინს ერთნახევარი ორი შესაძლებელიდან

ბრძოლები ტურნირში- მხოლოდ ახლა იწყება. და ინტერესს იწვევს მეშვიდე ტური (ბოტვინიკისა და ფლორის შეხვედრა) და მერვე ტური (ბოტვინიკისა და სმისლოვის შეხვედრა).

საჯარო ბიბლიოთეკაში

29 მაისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში (ცეცხველის ქ № 5) შესდგება ნ. კანდელაკის ლექცია თემაზე: „გიორგი ალაკაძე—დიდი ქართველი მხედართმთავარი“.

ბილეთების შეძენა შეიძლება ბიბლიოთეკის რეგისტრატურაში მთელი შემოსავალი მოხმარდება ფრონტელთა ოჯახებს.

კინოებში

28 მაისს: რუსთაველის სახელობის და ოქტომბერი—„ის კვლავ დაბრუნდება“ დამკვრელი—„3 მუშკეტერი“ **26** კომისრის და კომკავშირელი—„კუტუზოვი“ ლუქსემბურგის სახელობის—„მიგდებული ბავშვი“. სპარტაკი —„ანტონ ივანეს-ძე ჯავრობს“.

ნიკო ლორთქიფანიძე

საქართველოს ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ ძმიმე დანაკლისი განიცადა 25 მაისს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ თბილისში გარდაიცვალა ცნობილი ეპოვველ-მწერალი, მხატვრული პროზის ღირსშესანიშნავი ოსტატი ნიკო ლორთქიფანიძე.

დიდია ნიკო ლორთქიფანიძის დამსახურება ეროვნული ლიტერატურის წინაშე. მან, როგორც მხატვარმა რეალისტმა. მთელი თავისი ხანგრძლივი შემოქმედებითი მუშაობით თვალსაჩინოთ ადგილი მოიპოვა მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ნიკო ლორთქიფანიძე დაიბადა 1880 წელს, 17 სექტემბერს (ძველი სტილით) სოფელ ჩუნეშში (ქუთაისის რაიონი). პირველდაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ ნიკო შეიყვანეს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მაგრამ გიმნაზიის კურსი მან ქ. ძაუგში (ყოფილი ვლადიკავკაზი) დამთავრა, საიდანაც უმაღლესი განათლების მისაღებად ხარკოვის უნივერსიტეტში შევიდა.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ნიკო ლორთქიფანიძე გამსჭვალული იყო მოწინავე პროგრესული იდეებით. ამ იდეებს ის ეზიარა გიმნაზიაში ყოფნის დროს, როცა გატაცებით კითხულობდა ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის. დობროლიუბოვის, პისარევის წიგნებს

ხარკოვის უნივერსიტეტში ყოფნის დროს სტუდენტთა რევოლუციურ გამოსვლებში, ოვითმპყრობელობის საწინააღმდეგო დემონსტრაციებში მონაწილეობისათვის 1900-1902 წლებში ის ორჯერ იქნა გარიცხული უნივერსიტეტიდან შემდეგ ნიკო ლორთქიფანიძე სწავლობს ლეიბნიცის, სამთო აკადემიაში

1907 წელს ნიკო ლორთქიფანიძე დაბრუნდა სამშობლოში ამ დროიდან ის აქტიურად ებმება კულტურულ-საზოგადოებრივ საქმიანობაში იწყება მუშაობას პედაგოგიურ ასპარეზზე. 1907 წლიდან 1912 წლამდე ნიკო ეცხო ეხას ასწავლიდა თბილისის ქართულ გიმნაზიაში. ამავე დროს, იგი, როგორც წევრი თბილისის ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობისა. თავდადებით ეუშაობდა თეატრია—კულტურის ამ ერთ-ერთი კერია ალაფრძინებენდა.

1912 წლიდან ნიკო ლორთქიფანიძე ეუთაისშია. იგი პედაგოგიურ-მუშაობას ეწევა კლასიკურ და ქალთა გიმნაზიებში, ამავე დროს აქტიურ მონაწილეობას იღებს ყოველგვარ საზოგადოებრივ-კულტურულ საქმიანობაში, თეატრალურ ცხოვრებაში. ქართველთა შორის წერა-კითხვის გავრცელებელ საზოგადოებაში მისი თაოსნობით ორგანიზება ლიტერატურული საღამოები

აქტიურ საზოგადოებრივ და პედაგოგიურ მოღვაწეობას ნიკო ლორთქიფანიძე დაუღალავად განაგრძობდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. სხვადასხვა დროს ის მუშაობდა ხელოვნების მუშაკთა კავშირის პასუხისმგებელ მდივნად. ამავე კავშირის თავმჯდომარედ. საქართველოს მეცნიერ მუშაკთა საქციის წევრად. „ჩანოობის“ სარედაქციო კოლეგიის წევრად. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრად და სხვ. 1928 წლიდან ნიკო ლორთქიფანიძე მიწვეული იყო ეროვნულ საბჭოში. ინდუსტრიული ინსტიტუტის ჯერ ლექტორად. ხოლო შემდეგ უცხო ენათა კათედრის გამგედ

ნიკო ლორთქიფანიძე საქმიერული ასპარეზზე გამოიცა 1902 წელს. ამ დროიდან. ორმოცდა წლის მეტი ხნის განმავლობაში ის დაუღალავად მუშაობს. მშობლიური ლიტერატურის აღორძინებისა და აყვავებისათვის.

მრავალფეროვანია ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედების თემატიკა. მას, მხედველობიდან არ გამორჩენია არავ ისტორიული თემები, არც ძველი სოფლის ცხოვრება. არც ის ორმაგ ოციალური პროცესები რომლებიც ხდებოდა რევოლუციამდელ სოფლიში და ნამდვილად

Ш. დადიანი, ხ. ჩიქოვანი, ლ. ქიაჩელი, ვ. ლეონიძე, ვ. ალაძიე, ვ. ქიქოძე. ხ. შანშიაშვილი, ა. ხორავა, ა. აბაშიძე, ვ. კილაძე, ვ. ნაგაროშვილი, ფ. შენგელაია, ბ. ფლინტი, ი. ბერიშვილი. ი. მოსაშვილი, ა. მაუ.შვილი, პ. ინაოროფ. ვ. ფიბლაძე. რ. ბერიძე, ლ. ახალიანი, შ. მამალაძე, ხ. კლიოიაშვილი, ხ. ეფლი, ბინაშვილი, შ. ალხაენი, ბ. რადიანი, ა. ქუთათელაძე, ნ. ნაკაშიძე, ი. ფაკელი, ი. ლ. ხაშვილი, ა. ერისთავ-ხოშტარია.

ნახატი უ. ჯაფარიძისა.

• • •

ზაზე მწერალია მრავალი მოთხრობა, ნოველა ეცალი დასწერა, სადაც გაძოსთქვა თავ. ურჩისი სიყვარული საშობლოსადმი

ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობები „რიასათვის“, „ინერი“, „გლეხის მოსახლეობ ინერეთში“ „დაგრეული ბუდეები“ „ტა-დია უგმირიდ“ და მრავალი მინიატურა ნ. ლად გვიხატავს ქართული სოფლის კოლორტულ სურათებს

ძიერეხდავად მოთხრობებისა „უიალნი „ანაბეშვილი“, ნიკო ლორთქიფანიძე ყოველ თვის რჩებოდა ჯანსაღი რეალიზმის წარ-ძადგენელად, ძ